# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

## სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შოთა შანშიაშვილი


# „ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად


ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი

პოლიტიკურმეცნიერებათა დოქტორანტი,ასისტენტი



თბილისი2019

# ანოტაცია


წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ნატოს როლს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. საერთაშორისო ტერორიზმი დღევანდელ ჩვენს რალობაში მსოფლიოს საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ხოლო თავის მხრივ კი ნატო არის წამყვანი ძალა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ტერორიზმის წარმოშობის წანამძრვრები, საერთაშორისო ტერორიზმის როლი საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაში, ასევე რელიგიური ტერორიზმი როგორც საერთაშორისო ტერორიზმის ერთ ერთი სახე განხილულია რელიგიური ტერორიზმის კონტექსტში რადიკალური ისლამური ფუნდამენტალიზმი და რელიგიური ექსტრემიზმი.

მეორე თავში განხილულია ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკა, კერძოდ კი ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში, ნატოს კონტრტერორისტული მისიები ნატოს როლი კიბერ ტერორიზმთან ბრძოლაში და სამომავლოდ ნატოს როლის განსაზღვრა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში

# Annotation

## “Nato's role in fight against international terrorism”

The present work is dedicated to the role of NATO in the fight against international terrorism International terrorism today is a major challenge for international security in the world, while in turn NATO is the alliance of the North Atlantic Treaty which is the European Military Political Alliance is the leading force of international terrorism In the direction of fighting

In the first chapter of the work, the decline of the origin of terrorism is considered
The role of international terrorism in international security architecture
As well as religious terrorism, one aspect of international terrorism is considered radical Islamic fundamentalism and religious extremism in the context of religious terrorism

The second chapter deals with NATO's anti-terrorist policy, particularly the role of the North Atlantic Alliance in the fight against international terrorism NATO counterterrorism missions in NATO's fight against cyber terrorism and future NATO's role in fighting terrorism

Shota Shanshiashvili

# შინაარსი


შესავალი.....5

თავი I  ტრორიზმის არსი და მისი წარმოშვების წინამძღვები……....10

1.1ტერორიზმი და მისი წარმოშვების ფაქტორები……....10

1.2 საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვე მსოფლოს უმთავრესი გამოწვევა…19

1.3 რელიგიური ტერორიზმი როგორც საერთაშორისო ტერორიზმის შემადგენელი ნაწილი …….….28

თავი II ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკა ……..48

2.1ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში……..48

2.2ნატოს ანტიტერორისტული ოპერაციები……50

2.3ნატოს როლი კიბერ ტერორიზმთან ბრძოლაში…….....52

2.4 ნატო - ტერორიზმთან ბრძოლის პერსპექტივები…….54

დასკვნა ……60

გამოყენებული ლიტერატურა ……....64

# შესავალი

**თემის აქტუალობა** ტერორიზმი როგორც კომპლექსური პრობლემა კაცობრიობას მრავალი ათწლეულია აწუხებს, მას აქვს წარმოშობის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები,გლობალურ ეპოქაში, ტერორიზმი გასცდა საზღვრებს და ის ჩამოყალიბდა როგორც საერთაშორისო ტერორიზმი,მის წინააღმდეგ ბრძოლაში ნატოს როლი დიდია, დღეს დღეობით ის ცივილიზებული მსოფლიოს ერთ ერთი მთავარი გამოწვევაა, შესაბამისად ვფიქრობ, რომ აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალურია და მას სჭირდება სიღრმისეული განიხილვა თუ რატომ წარმოიშვა ტერორიზმი რატომ განვითარდა და რატომ იქცა  დღეს ერთ ერთ მთავარ პრობლემად და გამოწვევად მსოფლიოში საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის

## საკვლევი კითხვებია :

1.რა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ტერორიზმი მსოფლიოს და შესაძლებელი თუ არა ტერორიზმის დამარცხება საერთაშორისო ჩართულობის გარეშე?

2.რამდენად ეფექტურია ნატოს ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ?

**თემის ჰიფოთეზა**  21-ე საუკენეში საერთაშორისო ტერორიზმი საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. დღის წესრიგში დგას ერთობლივი ანტიტერორისტული კომპლექსურ ღონისძიებათა აუცილებლობა სადაც ნატოს როლი განუზომლად დიდია. ტერორიზმის დამარცხება შეუძლებელია საერთაშორისო ჩართულობის გარეშე, სადაც მნიშვნელოვანია ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის და სახელმწიფოების ჩართულობა, რადგან აღნიშნული საფრთხე სრულიად ცივილიზებულ სამყაროს ეხება.

## თემისმიზნებიდაამოცანებია :

ტერორიზმისარსისმისიწარმოშობისმიზეზებისდადგენა

.საერთაშორისოტერორიზმისგამომწვევიმიზეზებისწარმოჩენა

.ანტიტერორისტულიღონისძიებებისროლისგანსაზღვრასაერთაშორისოუსაფრთხოების დამკვიდრებისსაქმეში

.ნატოსროლისგანსაზღვრასაერთაშორისოტერორიზმთანბრძოლისპროცესში

## კვლევის მოსალოდნელი შედეგები :

ზოგად კონტექსტში შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ამ კვლევის შედეგების კონკრეტული მიმართულებები :

წარსულის გაანალიზების შედეგად სწორედ შევხედოთ აწმყოში არსებულ რეალობას და აქედან გამომდინარე სწორი ანალიზი გავაკეთოთ სამომავლო გამოწვევებისა და საფრთხეების

ტერორიზმის წარმოშობის მიზეზების განხილვა მისი მოდერნიზაცია გარდაქმნა როგორც საერთაშორისო ტერორიზმი და სამომავლო მისი როლი გლობალურ ეპოქაში

გაიმართება დისკუსია და დებატები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

თეორიული ასპექტის გათვალისწინებით განისაზღვრება ტერორიზმთან ბრძოლის პრაქტიკული ანტიტერორისტული მიმართულებები

## კვლევის მეთოდოლოგია :

თემის დამუშავების დროს გამოყენებულ მეთოდოლოგიას წარმოადგენს არსებული თეორიული მასალის განხილვა ანალიზი და დასკვნების გამოტანა ნასრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია დაეფუძვნება კვლევის მასალებს და მონაცემთა ერთგვარ ანალიზს

ნაშრომის კვლევის მეთოლოგიური ბაზა სკავლევი მასალების კუთხით დაეყრდნო შემდეგ მასალებს :

ბრიუს ჰოფმანის „ახალი ტერორიზმი“,აღნიშნული წიგნის მასალებმა მნიშვნელოვან წილად განაპირობა ნაშრომის საბაზისო კვლევა, განსაკუთრებით საერთაშორისო ტერორიზმის და მის წინააღმდეგ ანტიტერორისტული ღონისძიებების განხორციელების კვლევის ასპექტში.

აგრეთვე „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორიის“ მოდელის მაგალითი განსაკუთრებით ნაშრომის II თავში „ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკა“

კვლევა დაეყრდნო საერთაშორისო უსაფრთხოების კონცეფციის „კოპენჰაგენის სკოლის“ (Copenhagen school of security studies) -ის დამფუძნებლისა და წიგნის „ადამიანები სახელმწიფო და შიში“ - ავტორი ბარი ბუზანი, რომელიც მიიჩნევდა, რომ ეროვნული უსაფრთხოება საერთაშორისო უსაფრთხეობის საპირწონეა.

კვლევა აგრეთვე დაეყრდნო საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტის რიჩარდ კოენის ნაშრომებს

ასევე ე.წ „სოციალური კონსტრუქტივიზმის“ თეორიას

## თემის პრაქტიკული მნიშველობა :

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის შესაძლოა გამოადგეს ნაშრომში წამოჭრილ პრობლემაზე მომუშავე მეცნიერებსა თუ უშუალოდ დარგის სპეციალისტებს, სხვადასხვა ანალიტიკურ ცენტრებში თუ სიტუაციურ ოთახებში მომუშავე სპეციალისტებს, საუნივერსიტეტო საბაკალვრო პროგრამის სტუდენტებს, აგრეთვე ეროვნული უსაფრთხეობის მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურებს.

## ლიტერატურის მიმოხილვა :

ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში ვახტანგ მაისაია, ავტორი წიგნში წერს საერთაშორისო ტერორიზმის წარმოშობის მიზეზებსა და გარეომოებებზე რაც მნიშვნელოვანი ასპექტია აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის Iთავისათვის.

საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო ჯემალ გახოკიძე, ავტორს აღწერილი აქვს საერთაშორისო ტერორიზმის მიმართულებით ანტიტერორისტული ღონისძიებების დეტალური ანალიზი ნატოს მხრიდან., აღნიშნულული კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომს დაეხმარა განსაკუთრებით II თავში.

# თავი პირველი -ტერორიზმის არსი და მისი წარმოშობის წანამძღვრები

## 1.1. ტერორიზმი და მისი წარმოშვების ფაქტორები

ტერორიზმი როგორც მასობრივი დაშინების, ტოტალური შიშის დანერგვის და რაც მთავარია პოლიტიკური მიზნების ძალადობრივი აღსრულების საშუალება და მექანიზმი უკვე მრავალი ასწლეულია რაც კაცობიობის ისტორიაში არსებობს. მას აქვს წარმოშობის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები.ჯერ კიდევ მე 11-ე საუკუნეში ირანში შეიქმნა ნეოისმაილიტური ორგანიზაცია, ე.წ მასონური და მისტიკური ორდენის ფარგლებში ამ ორგანიზაციას „ასასინებს“ უწოდებდნენ, ორგანიზაციის მიზანს პოლიტიკური მკვლელობების ორგანიზება წარმოედგნედა, თვით მკვლელი ანუ კამიკაძე მებრძოლებით ხდებოდა არაერთი პოლიტიკური მკვლელობის ორგანიზება, თვით მკვლელ ასასინენელბს სჯეროდათ, რომ რაც უფრო მეტ ადამიანს მოკლავდნენ მით უფრო ადვილად მოხვდებოდნენ სამოთხეში.

ფაქტობრივად ეს იყო პირველ ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც რელიგიური ტერორისტული ჯგუფი. შემდგომში ტერორიზმი როგორც კომპლექსური და ორგანიზებული პრობლემა ნელ ნელა ვითარდებოდა და ახალი ფაზა საფრანგეთის რევოლუციის დროს მიიღო.

ჩამოყალიბდა ორი მიმართულება ტერორი და ტერორიზმი, ტერორი როგორც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარ მოსახელეობის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობრივი და რეპრესიული მოქმედებათა ერთობლიობა რათა მიღწეულ იქნას ძალაუფლების სრული კონტროლი, ხოლო ტერორიზმი კომპლექსური სისტემა რომლის მიზანია პოლიტიკური მიზნების მიღწევა ძალადობრივი საშუალებებით

ტერმინი ტერორიზმი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშვნავს შიშსს,რაღაც საშინელს, პირველად ტერორი როგორც მეთოდი პოლიტიკური მოქმედებებისა წარმოიშვა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, ის გამოიყენებოდა რადიკალური რევოლუციონრების მიერ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ რეპრესიების გატარების სახით, ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერორიზმი არის პოლტიკური პრობლემების ძალისმიერი მეთოდების გადაჭრის საშუალება. პოლიტიკური ძალისმიეირი მეთოდების გამოყენება ხორციელდება როგროც სახელწმიფოს მიერ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ასევე სხვადასხვა იატაქ ქვეშა ჯგუფების მხრიდან მმართველი პოლიტიკური ძალის და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებამდე ტერორიზმი ხელისუფლებისათვის ბრძოლის ერთ–ერთ ხერხადაც კი გამოიყენებოდა. ტერორს მიმართავდნენ სასახლის გადატრიალებისას, არასასურველი ხელისუფლების ჩამოგდებისას, ინკვიზიციის დროს, განსაკუთრების მძვინვარებდა რევოლუციების განმავლობაში. ტერორი და ტერორიზმი ამა თუ იმ სახით ყოველთვის არსებობდა, მაგრამ პოლიტიკური ტერორიზმის ისტორიას 19-ე საუკუნის პირველი მეოთხედიდან იწყებენ. 19-ე საუკუნის ტერორიზმის რევოლუციურ ტერორიზმს უწოდებენ, რადგან პოლიტიკური მიზნის მიღწევის ერთადერთ გზად რევოლუციური ცვლილებები მიიჩნეოდა.[1]

ძალადობის გამოყენება შიშისა და ტერორის კლიმატის შექმნის მიზნით და დასახული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად; აშკარად კნინობითი ხასიათის[2]

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებამდე ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობდა, პრაქტიკულად ასეთი სახით იგი არც ახლა არსებობს, მაგრამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება. მაგალითისათვის შეიძლება

[1]მაისაია, ვ. „ახალიგეოპოლიტიკურირეალობადასაერთაშორისოტერორიზმი 21ესაუკუნეში“, თბილისი 2009წ. გვ. 74

[2]პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი / ენდრიუ ჰეივუდი; [მთარგმნ.: თამარ ბაკურაძე და სხვ.; რედ.: ლაშა ბერაია, ზეინაბ სარაძე]. - მე-3 გამოც.. - თბ.: ლოგოს პრესი, 2004. - 432გვ.

მოვიყვანოთ გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის 2002 წლის ოქტომბრის განცხადება, რომლითაც იგი ცდილობა ტერორიზმის განმარტებას: „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე“. ევროკავშირი ტერორიზმს ასეთ შეფასებას აძლევს: „ტერორიზმი ეს არის ქმედება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საზოგადოების დაშინება, მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე არაკანონიერი გზით ზეგავლენის მოხდენა, ქვეყნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურება“. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით ტერორიზმი ეს არის „ქვეეროვნული და ფარული ელემენტების მიერ საზოგადოებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით დაგეგმილი ძალადობა, რომელიც მიმართულია არასაომარი – სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ“. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო იძლევა ტერორიზმის ოთხ ძირითად დამახასიათებელ ელემენტს:

ძალადობის წინასწარ დაგეგმილი და არაიმპულსური აქტი.

- ქმედება, რომელიც განსაზღვრულია პოლიტიკური წესრიგის შესაცვლელად;
- ქმედება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ
- და ბოლოს, იგი ხორციელდება ქვეეროვნული დაჯგუფების მიერ.[3]

ტერორს ამ გზის აუცილებელ ატრიბუტად თვლიდნენ. სწორედ 19-ე საუკუნის 30-40-იან წლებში იწყება ნაციოლალიზმის, ანარქიზმის, სოციალიზმის იდეების ფართო გავრცელება და ტერორიზმიც ამ მოძრაობების რადიკალური მიმართულებების ბრძოლის ფორმად იქცა.

ანარქიზმის გაიგივება ძალადობასთან ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, მაგრამ 19-ე საუკუნეში საკმაოდ გავრცელებული წარმოდგენით ტერმინი „ანარქისტი“ „ტერორისტის“ სინონიმად ითვლებოდა. ევროპისა და ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანა დაზარალდა ანარქისტების ქმედებებით. განსაკუთრებით ძლიერი იყო ანარქისტული

[3]რუბაშვილი ვასილ. ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო ორგანიზაციებში // ახალი აზრი №1 (7),-2003წ.

მოძრაობა დასავლეთ და სამხრეთ ევროპის კათოლიკურ ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) და რუსეთში.[4]

არსებობს ტერორიზმის სხვადასხვა განმარტებები მათ შორის :

ტერორიზმი - ეს არის არასახელწმფოებრივი ძალადობის აქტი, რომლის მიზანია დათესოს საზოგადოებაში შიში შეასუსტოს არსებული პოლიტიკური მდგომარეობა და ჩამოაგდოს არსებული სახელწმფიო ხელისუფლება

ტერორიზმი - წარმოადგენს მოტივირებულ ძალადობას რომელსაც აქვს პოლიტიკური მიზნები[5]

ტერორიზმი - არის ძალის ან ძალადობის არაკანონიეირ გამოყენება მიმართული პირვონენბების ან საკუთრების წინააღმდეგ რომელიც მიმართულია მთავრობის სამოქალაქო საზოგადოების ან სხვა სოცოაულური სეგმენტის განადგურების მიზნით კონკრეტული პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მისაღწევად[6]

დროთა განმავლობაში ტერორიზმი სხვადასხვა ფორმებს იძენდა რამდენიმე საუკუნის გასვლის შემდგომ მე 20-ე საუკუნის დaსაწყისისათვის ტერორიზმი ჩამოყალიბებული სახით ტრანსფორმირდა და დღემდე ამ ფრომით არსებობს ტერორიზმს აქვს ოთხი ძირითადი მიმართულება :

ესენია პოლიტიკური ტერორიზმი, სოციალურ ეკონომიკური ტერორიზმი, ეთნიკურ ნაციონალისტური ტერორიზმი და რელიგიური ტერორიზმი

---

[4](უოლტერ ლაკერი ამერიკელი ექსპერტი ტერორიმის საკითხებში)

მაისაია, ვ. „ახალიგეოპოლიტიკურირეალობადასაერთაშორისოტერორიზმი 21ესაუკუნეში“, თბილისი 2009წ.

[5](ბორის კროზე კონფლიქტების შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორიმაისაია, ვ. „ახალიგეოპოლიტიკურირეალობადასაერთაშორისოტერორიზმი 21ესაუკუნეში“, თბილისი 2009წ.

[6]ლარი ლაჩერიკი აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი)მაისაია, ვ. „ახალიგეოპოლიტიკურირეალობადასაერთაშორისოტერორიზმი 21ესაუკუნეში“, თბილისი 2009წ.

პოლიტიკური ტერორიზმი ძირითადი არსი არის პოლიტიკური მკვლელობები, პოლიტიკური ნიშნით ტერაქტების ორგანიზება, პოლიტიკური მიზნების ძალადობირივი გზებით აღსრულებაა.

სოციალურ ეკონომიკური ტერორიზმი არის ბევრად მოცულობითი და სიღრმისეული ტერორიზმის სახე, მას აქვს ორი ძირითადი მიმართულება : მემარჯვენე და მემარცხენე ტერორიზმის მიმართულება,მემარცხენე მიმართულებას ანარქიზმი და ანარქისტული მოძრაობა წარმოადგენს, რომელიც ცარიზმის მეფის იმპერიის რუსეთში მე19-ე საუკუნის ბოლო მე 20-ე საუკუნის დასაწყისში არსებობდა, ხოლო მემარჯვენე ტერორიზმის ყველაზე თვალსაჩინო მიმართულება გახლდათ „კუქლუს კლანი“ , რომელიც სამხრეთ ამერიკაში არსებობდა.

რაც შეეხება ეთნიკურ ნაციონალისტურ მიმდინარეობას ეს სახე დღესაც აქტუალურია,მისი მთავარი არსი არის ეთნიკური უმცირესობების ე.წ ნაციათ ქცევის მცდელობა. ულტრა ნაციონალისტური მიმართულება, დღეს დღეობით ეთნიკურ ნაციონალისტური ტერორისტული მიმართუელბის მკაფიო მაგალითებია ტერორისტული ორგანიზაციები მაგ : ბასკური „ეტა“ , რომლის მიზანია ბასკების როგორც ეთნოსისა და ნაციის ინტეგრაცია ესპანეთში, ირლანდიური „აირა“ (ირლანდიის რესპუბლიკური არმია) ,რომელიც მიზნად ისახავს ჩრდილო ირლანდიის გამოყოფას.ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ სომხური „დაშნაკ ციუტუნის“ მაგალითიც, ისინი თურქულ სიონისტურ პოლიტკის წინააღმდეგ იბრძოდენ,ჩამოთვლილთაგან ყველაზე აქტუალური დღევანდელ რეალობაში საერთაშორისო ტერორიზმის მიმართულებით რელიგიური ტერორიზმია, რომელიც ყველაზე მძლავრი და მოცულობითი მიმდინარეობაა, რადიკალური ისლამური ფუნდამენტალიზმით და რელიგიური ექსტრემიზმის სახით.

მის წინააღმდეგ ბრძოლა ურთულესია, რამეთუ რელიგიური ტერორისტული ორგანიზაციების მამოძრავებელი ძალა არის მენტალური რწმენითი და აღმსარებლობითი

ტერორისტული ჯგუფები გადაადგილებისა და მოქმედების გაშლისათვის ტრანსპორტირების დროს ყველა სახეობის დოკუმენტაციას იყენებენ, მე 20-ე საუკუნის 70 იან წლებში ისინი გადაადგილებისათვის იყენებდნენ გამოგონილ სახელსა და გვარზე გაცემულ ყალბ პირადობის დამადასტურებელ საბუთებს, ხოლო საზღვრის გადაკვეთისათვის ანუ საერთაშორისო ტერორისტული აქტის ორგანიზების დროს ყალბ საერთაშორისო პასპორტებსა და სავიზო დოკუმენტებს, გასული საუკუნის 80 იან წლებში მათი მოქმედების აღნიშნული ფორმები უფრო გახშირდა,ამჟამად დღევანდელ ჩვენს რეალობაში ტერორისტული დაჯგუფებები აქტიურად იყენებენ გატაცებულ თვითმფრინავებსა და საზღვაო გემებს, აღნიშნული მეთოდი საკმაოდ ეფექტურია რამეთუ მსგავსი გადაადგილების ეკიპაჟებზე ხალხის დიდი ნაწილი სარგებლობს შესაბამისად მათი გატაცება ტერორისტებისათვის მომგებიანია

დღეს დღეობით განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ თვითმფრინავების გატაცებებს და შემდგომ უკვე ამ გატაცებული თვითმფრინავებით მასშტაბური ტერორისტული აქტის ორგანიზებას ცდილობენ, მეთოდი ეფექტურია რამეთუ საჰაერო სივრცის გაკონტროლება სტატიკურად შეუძლებელია, ხოლო დისტანციურად კი საკამოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. რათქმაუნდა ტერორისტული ჯგუფები ასევე იყენებენ მასობრივი თავ შეყრის ადგილებს, როგორებიც არის ქალაქის მეტროპოლიტენები, სკოლები, ადმინისტრაციული შენობები, სკვერები ბაღები და ა.შ მსგავს შემთხვევებში არის დიდი მსხვერპლის ალბათობა,ტერორისტულ აქტებს საკუთრივ აქვთ მთელი რიგი მიმართულებები

მათ შორის ყველაზე გავრცელებულია :

მკვლელობები :

სამიზნეს ძირითადად წარმოადგენენ ცნობილი სახეები ან ან ის პირები რომელთაც ე.წ „ომერტას“ ტრადიციას უღალატეს

აფეთქება :

გაუმჯობესებული გარკვეულ წილად იმპოვიზებული ასაფეთქებელ მოწყობილობა ტერორისტული ჯგუფების თანამედროვე ტაქტიკის შემადგენელი ნაწილია

მძევლის აყვანა :

ეს არის მოქმედებათა ერთობლიობა როდესაც ერთი ინდივიდი სამიზნე სუბიექტი ან რამდენიმე მათგანს ტერორისტული ჯგუფი იყვანს მძევლად რათა მიღწეულ იქნას დასახული მიზანი,რომელიც შესაძლოა იყოს ფულადი გამოსასყიდი მკვლელობა ან რაიმე პოლიტიკური მიზნის ან მოთხოვნის მიღწევა, როგორც კი მიზანი მიიღწევა შემდგომ შესაძლოა ჯგუფმა მოლაპარაკების შემდგომ მძევლები გაანთავისუფლონ კიდეც აღსანიშნავია, რომ ტერორისტთა ეს მეთოდი მოძველებულია და ის როგორც წესი მასობრივად აღარ გამოიყენება

ადამიანის გატაცება :

ადამიანის გატაცება თვისობრივად განსხავდება მძევლის აყვანისაგან, რამეთუ ადამიანის გატაცება მნიშვნელოვნად გასაიდუმლოებული ოპერაციაა ხოლო მძევლის აყვანისას ტერორისტები თავად ახდენენ მსგავსი შემთხვევის აფიშირებას, თუმცა უნდა ითქვას, რომ ცალკეული ადამიანის გატაცებაც მიჩნეულია როგორც ტერორისტული ინდივიდუალური აქტი

საჰაერო საზღვაო სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების გატაცება :

აღნიშნულ შემთხვევებში ხედება თვითმფრინავების ,გემების, მატარებლების, ავტობუსების გატაცება ზოგ შემტხვევაში გაქცევის და მძევალთა აყვანის მიზნით ხოლო ზოგჯერ კი რაიმე სტრატეგიულ ობიექტზე იერიშის მიტანის შეჯახების მიზნით აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგა ყველაზე რთულ ამოცანას თვითმფრინავის გატაცება წარმოადგენს თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტერორისტული აქტის აღკვეთა დიდ სირთულეს წარმოადგენს რადგან მოქმედება ჰაერში ხდება, მკაფიო მაგალითს 9/11 ტერორისტული აქტი წარმოადგენს, რომელიც იყო ასიმეტრიული საფრთხისა და იდეოსინკრეტულობის მკაფიო გამოვლინება

დივერსია საბოტაჟი :

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ დივერსია წარმოადგენს უფრო მასშტაბურს და უფრო მოცულობით კანონსაწინააღმდეგო აქტს, ხოლო საბოტაჟი კი ფრანგული სიტყვაა და ის უფრო კონკრეტული და ლოკალურია აქტია, აღნიშნული აქტები შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც ტერორისტული აქტები, საბოტაჟი არის ე.წ შეთქმულება გამოხატული გაფიცვის ფორმით, რომლის მიზანია ამა თუ იმ სტრატეგიული ობიექტის მუშაობის პარალიზება რაც თავის მხრივ გამოიწვევს სოციალურ ეკონომიკურ რყევებს სახელმწიფოში, აღნიშნული მიმართულება განეკუთვნება უფრო მეტად სოციალურ ეკონომიკურ ტერორიზმს და მის წინააღმეგ საჭიროა კომპლექსური კონტრ ტერორისტული და კონტრ დაზვერვით ღონისძიებების გატარება სახელმწიფო უშიშროების მხრიდან

ცეცხლის წაკიდება ხანძრის ხელოვნური გაჩენა :

დივერსიული ხასიათის მოქმედება რომელიც ნაკლებად დრამატული და დამაზიანებელია და მოითხოვს რისკსა და ცოდნას განსაკუთრებით ცეცხლის წაკიდების შემთხვევაში. რაც შეეხება ხანძრის ხელოვნურად გაჩენას ეს უფრო მძიმე სახის დივერსიული აქტია,რომელიც დღევანდელ რეალობაში ხშირია, განსაკუთრებით ტყეების შემთხვევებში, აღნიშნული შემთხვევა შეგვიძლია ჩავთვალოდ როგორც ეკოლოგიური ტერორიზმი[75]

[7]მაისაია, ვ. „ახალიგეოპოლიტიკურირეალობადასაერთაშორისოტერორიზმი 21-ესაუკუნეში“, თბილისი 2009წ. გვ. 86-87

## 1.2. საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოს უმთავრესი გამოწვევა

მე 20-ე საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით კი 21-ე საუკუნეში, ახალი ათასწლეულის დასაწყისში, გლობალიზმის გააქტიურების ფონზე რომელიც საკუთრივ მოიცავს მცირე და ერთიან მსოფლიოს, ტერორიზმსაც შეუქმნა ხელსაყრელი პირობები. ტერორიზმი გასცდა კონკრეტულ განსაზღვრულ საზღვრებს და შეიძინა საერთაშორისო ფუნქცია, ჩამოყალიბდა საერთაშორისო ტერორიზმი, რომელიც ტრანს ნაციონალური სისტემით ოპერირებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, განსაკუთრებით კი ახლო აღმოსავლეთსა და ისლმაურ სამყაროში. საერთაშორისო ტერორიზმის ძირითად იდეოლოგიას და ბირთვს რელიგიური ტერორიზმი წარმოადგენს. შესაბამისად რადიაკლური ისლამური ფუნდამენტაცლიზმი და რელიგიური ექსტრემიზმი საერთაშორისო ტერორიზმის მთავარი პოსტულატებია

საერთაშორისო ტერორიზმი არის საერთაშორისო ხასიათის დანაშაული. ტერორიზმის ნაირსახეობა - გამოიხატება ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებით ან მოქმედების მუქარით, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების (უმეტესად პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვა) მისაღწევად ძალადობის, ტერორისტული აქტების საჯაროდ განხორციელების გზით, მოსახლეობის ან ხელისუფლების დაშინების მიზნით და მასზე პირდაპირი ან ირიბი ზეწოლის მოსახდენად. საერთაშორისო ტერორიზმი არის საერთაშორისო მასშტაბის საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ერთობლიობა, რომელიც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, დიპლომატიური სამსახურებისა და მათი პერსონალის ნორმალური საქმიანობის მოშლას, აბრკოლებს საერთაშორისო უერთიერთთანამშრომლობას.

საერთაშორისო ტერორიზმი არისსაერთაშორისო ხასიათითის დანაშაულის ნაირსახეობა. გამოიხატება ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებით ან მოქმედების მუქარით, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების (უმეტესად პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვ.) მისაღწევად ძალადობის,

ტერორისტული აქტების საჯაროდ განხორციელებით, მოსახლეობის ან ხელისუფლების დაშინებით და მასზე პირდაპირი ან ირიბი ზეწოლით. ს.ტ. არის საერთაშორისო მასშტაბის საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ერთობლიობა, რომელიც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, დიპლომატიური სამსახურებისა და მათი პერსონალის ნორმალური საქმიანობის მოშლას, აბრკოლებს საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობას. ს.ტ-ისათვის დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ტერორისტულ ჯგუფებში (ორგანიზაციებში) გაერთიანება, ერთი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მეორე სახელმწიფოში ტერორისტული აქტის ჩადენა, ინდივიდის ან ტერორისტული ჯგუფის ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის ან დიპლომატიური წარმომადგენლებისა და დიპლომატიური აგენტების, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენელთა (სახელმწიფო მეთაური, მთავრობის მეთაური, პარლამენტის წევრები, მინისტრები და სხვ.), საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი პერსონალის წინააღმდეგ. ს.ტ-ის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიღებულია როგორც უნივერსალური, ისე რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. მნიშვნელოვან როლს თამაშობს, აგრეთვე, სახელმწიფოთა შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა მკვეთრად იცვლის პოზიციას და ერთხმად აღიარებს ს.ტ-ს როგორც ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი აქტების მოწყობა-ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები წარდგებიან საერთაშორისო იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინაშე, ხოლო ის სახელმწიფო, რომელიც თავშესაფარს აძლევს საერთაშორისო ტერორისტებს, მათ ლიდერებს და აძლევს უფლებას იქონიონ იქ სასწავლო ბაზები და სხვა ინფრასტრუქტურა, შეიძლება გახდეს სამხედრო ოპერაციების ობიექტი დაზარალებული სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან.[8]

6

[8]სოციალურდაპოლიტიკურტერმინთალექსიკონი–ცნობარი. (2004) სოციალურმეცნიერებათაცენტრი. თბილისი: ლოგოსპრესი

საერთაშორისო ტერორიზმის აქტები გულისხმობს: პოლიტიკური მიზნებით განხორციელებულ (როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს) სისასტიკეს, უაზრო მკვლელობებს, მძევლად აყვანას, თვითმფრინავების ხელში ჩაგდებას, გამოძალვას, ადამიანთა წამებას, ან წამების მუქარას და სხვა ქმედებებს, რომლებიც მიმართულია: 1. ნებისმიერი უცხო სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, ან მათი წარმომადგენლების წინააღმდეგ; 2. უცხო ქვეყნის ნებისმიერი წარმომადგენლის მიმართ, მხოლოდ იმიტომ, რომ ის უცხო ქვეყნის წარმომადგენელია; საერთაშორისო ტერორიზმად ითვლება აგრეთვე შემთხვევა, როდესაც დასახელებულ ქმედებებს ჩადის პირი იმ ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას, რომელიც მის გადაცემას მოითხოვს[97]

2001 წლის ოქტომბერ-დეკემბერში აშშ-ისა და ანტიტერორისტულ ალიანსში შემავალი მრავალი სხვა სახლემწიფოს ძალისხმევით განადგურებულ იქნა არა მარტო ტერორისტთა ბანაკები, შეიარაღებული ნაწილები, არამედ ავღანეთის უკანონო რეჟიმის - ტალიბების შეიარაღებული ძალებიც, რასაც ქვეყანაში დემოკრატიული ხელისუფლების დამყარება მოჰყვა. სტ-ის აქტი, რომელსაც მოჰყვება უდანაშაულო ადამიანების მასობრივი გნადგურება და უმძიმესი მატერიალური ზარალი, დღეს განიხილება როგორც ქმედება, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას (იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1373 (2001)) და შეადგენს ჩადენილ დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ[10]

საერთაშორისო ტერორიზმიის დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ტერორისტულ ჯგუფებში (ორგანიზაციებში) გაერთიანება, ერთი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მეორე სახელმწიფოში ტერორისტული აქტის ჩადენა ან ინდივიდისა თუ ტერორისტული ჯგუფის ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის ან დიპლომატიური წარმომადგენლობისა და დიპლომატიური აგენტების, უცხო სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენელთა (სახელმწიფო მეთაური,

---

[9] ადამიანის უფლებათა ლექსიკონი / [შეადგინა ფრიდონ საყვარელიძემ ; რედ.: ანა ჭაბაშვილი] - თბ. : დასი, 1999 - 128გვ

[10] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი : ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005 - 283გვ. ; 23სმ. - ISBN 99940-0-877-3 : [ფ.ა.]

მთავრობის მეთაური, პარლამენტის წევრები, მინისტრები და სხვ). საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი პერსონალის წინააღმდეგ. საერთაშორისო ტერორიზმისის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიღებულია უნივერსალური ნორმები

აშშ-ს ეროვნული კონტრტერორისული ცენტრი

საერთაშორისო ტერორიზმის ფორმებია:

1.პოლიტიკური მკვლელობები

2.დიპლომატიური წარმომადგენლობის და სხვა ობიექტების აფეთქებები,

3.მძევლების აყვანა

4.სატრანსპორტო სისტემების დაზიანება

5.საჰაერო და საზღვაო ხომალდების გატაცება და სხვა

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით გაეროს ფარგლებში მიღებულია რეზოლუციები და კონვენციები. მასთან ბრძოლა ხორციელდება რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზეც (ნატო, ეუთო, ევროკავშირი, ინტერპოლი) 21-ე საუკუნის ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო ტერორიზმის ყვლაზე მასშტაბურაქტად შეიძლება ჩაითვალოს 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკში, ალქაიდას მიერ განხორციელებული აფეთქებები, რომელიც თავის მხრივ იყო ასიმეტრიული საფრთხის და „იდეოსინკრეტულობის“ მკაფიო გამოვლინება

საერთაშორისო ტერორიზმი, მე20-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოს სერიოზულ პრობლემად იქცა. იგი პოლიტიკური პარტიების, სოციალური ფენების იდეოლოგიების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ტერორი ნიშნავს დანაშაულს, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლების დაშინებასა და იძულებას, მასზე ზემოქმედებას. ტერორიზმის მიზეზებად ასახელებენ: ნეოკოლონიალიზმს, რასიზმს, აგრესიის პოლიტიკას, პოლიტიკური რეჟიმის არადემოკრატიულობას, უსამართლობას, სეპარატიზმს,

რელიგიურ ფანატიზმს და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი არ არის ახალი და უახლესი ისტორიის პირმშო. ეს მიზეზები სახელმწიფოებრიობის გაჩენიდან არსებობენ, უძველესი დროიდან მოდიან, შუა საუკუნეებში იხვეწებიან, რასაც განსაკუთრებით

ხელი შეუწყო კათოლიკურმა რელიგიამ, ეკლესიამ ინკვიზიციის მარწუხებით და ბოლოს, დღევანდელ დღეს ისინი სრულყოფილ სახეს იღებენ

საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვეობის ერთ–ერთი უაღრესად სერიოზული და მწვავე გლობალური პრობლემაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა საყოველთაო ამოცანად იქცა. ტერორის განხორციელება სხვადასხვა მეთოდით ხდება და ტერორისტების მიზნებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ყველა შემთხვევაში ტერორიზმი არის საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოყენებული ძალადობა, რომელიც ხორციელდება უკიდურესი ფორმით: მკვლელობა, აფეთქება, გატაცება, დაჭრა, მძევალთა აყვანა, და ა.შ. ეს არის მძიმე დანაშაული, რომელიც მუდმივ შიშში ამყოფებს როგორც მოსახლეობას, ისე ხელისუფლებას და კრიტიკულ მდგომარეობაში აგდებს მთელ ქვეყანას.

საერთაშოისო ტერორიზმს ვფიქრობ, რომ ხელი შეუწყო აგრეთვე დასავლური სამყაროს და წამყვანი საერთაშორისო აქტორების ე.წ ლიბერალურმა საემიგრაციო პოლიტიკამ.

რომელიც გამოიხატა განსაკუთრებით ევროპის სახელმწიფოთა არასწორი სასაზღვრო პოლიტიკით, კერზოდ იმით, რომ ისლმაური ქვეყნებიდან მასობრივად ხდებოდა ე.წ ლტოლვილების შემოყვანა ახლო აღმოსავლთის  სხვადასხვა ქყვენებიდან, მათ შორის ავღანეთიდან და ერაყიდან. ხოლო ბოლო დროს კი განსაკუთრებით სირიიდან. ევროკავშირის ამ ლიბერალურმა და ტოლაერანტულმა პოლიტიკამ გარკვეულ წილად ხელი შეუწყო საერთაშორისო ტერორიზმის გაფართოვებას ევროპის კონტინენტზე, რომელცი განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა ერაყის 2004 წლის და ავღანეთის 2001 კამპანიებიდან.

 რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს მიგრაციულ პოლიტიკას სასაზღვრო კომპონენტში, აქაც ლიბერიალური იყო, განსაკუთრებით 1990 იან წლებსი ბილ ქლინტონის ადმინისტრაციის დროს, სადაც ფედერალური სასაზღვრო კონტროლის კანონი საკმაოდ ლიბერალური იყო ემიგრანტებისათვის. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაციამ საკამოდ გაამკაცრა სასაზღვრო და საემიგრაციო პოლიტიკა, განსაკუთრებით კი მეზობელ სახელწმფოებთან. მხედველობაში მაქვს

მექსიკისა და კანადის მიმართულებით უფრო კონკრეტულად კი ნაფტას (აშშ მექსიკა კანადას რეგიონალური ეკონომიკური კავშირი) დაშლისა და მექსიკასთან კედლის მშენებლობის მიმართულებით. ეს ერთგვარად ჰგავს პოსტ მონროსეულ დოქტრინას რომელიც მოიცავს იზოლაციონისტურ პოლიტიკას, თუმცა ვფიქრობ, რომ საზღვრის კონტროლის კუთხით გამართლებული ნაბიჯია რამეთუ ისლამური  რელიგიური ექსტრემისტული ჯგუფების შედინება აშშ-ში საკმაოდ გართულდება

ვფიქრობ რომ ამ მხრივ ევროპასაც საკუთრივ ევროკავშირს და  ნატოს როგორც ეკონომიკურ პოლიტიკურ და სამხედრო პოლიტიკურ ბლოკებს მართებთ მსგავსი მკაცრი სასაზღვრო პოლიტიკის გატარება, რამეთუ უკანასკნელ წლებში საერთაშორისი ტერორისტული აქტის არაერთი ფაქტი მოხდა ევროპაში. საკმარისია ავღნიშნოთ საფრანგეთი მომხდარი ტერაქტები პარიზში შარლი ებდოს ბატაკლანის სახით

ქრონოლოგიურად ,რომ გავყვეთ 21-ე სუკუნეში საერთაშორისო ტერორიზმის ფაქტებს ევროპაში პირველი ყველაზე მასშტაბური ტერაქტი ესპანეთში მოხდა, სადაც დედაქალაქ მადრიდში ალ ქაიდას ორგანიზებით აფეთქებულ იქნა სამგზავრო მატარებელი, მსხვერპლი 192 ადამიანი, ხოლო 2000 მდე დაშავებული.

მომდევნო წელს დიდი ბრიტენეთი, სადაც ლონდონის მეტროპოლიტენში ალ ქაიდას ორგანიზებით დაიღუპა 56 ადამიანი, ხოლო 800 მდე დაშავებულ იქნა,

ისლმაური სახელწმიფოს მიერ ორგანიზებულ იქნა ტერორისტლი აქტები საფრანგეთში, 2015 და 2016 წლებში. 2015 წელს პარიზში 137 ხოლო, 2016 წელს ნიცაში 87 ადამიანი იქნა დაღუპული. აღნიშნული სტატისტიკა საკმარისია იმისათვის, რომ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროპაში საერთაშორისო ტერორიზმი მძლავრად მძვინვარებს და მის წინააღმდეგ ბრძოლას გარდა ანტი ტერორისტული ღონისძიებებისა კომპლექსური მკაცრი მიგრაციულ სასაზღვრო პოლიტიკა ესაჭიროება.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე თამამამად შეგვიძლია დავასკვნად, რომ საერთაშორისო ტერორიზმი მისი არსებობა თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემიათვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენის. ტრანს ნაციონალური ძალები საკუთარი უკანონო მოქმედებებით ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკურ ეკონომიკურ სოციალურ წყობილებას საფრთხეს უქმნიან. საერთაშოროსო ტერორიზმი

კი ამ პროცესების მკაფიო სახეს წამოადგენს და მის წინააღმდეგ კომპლექსური და მულტი ფუნქციური საერთაშორისო ანტი ტერორისტული ღონისძიებათა სისტემის შემუშავებაა საჭირო.

გლობალურ სენს ლოკალურად ვერ შეებრძოლები, შესაბამისად მასშტაბური საერთაშორისო აქტორების თაოსნობით, გაეროსა და ნატოს როგორც საკუთრივ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროპის სამხედრო პოლიტიკური ალიანსის, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც თავის მხრივ მულტი პოლარული გეოპოლიტიკური წამყვანი აქტორის ჩართულობით, საჭიროა ახალი სტრატეგიის შემუშავება, რათა გადახედილ იქნას საერთაშორისო უსაფრთხოების დღევადელი მოდელი, რომ უფრო ეფექტური გახდეს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. საერთაშორისო ტერორიზმი ონკოლოგიურ დაავადებას ჰგავს. რომელსაც გააჩნია მეტასტაზები თუ ის მეტასტაზები არ ამოიძირკვა ძირფესვიანად სენი ყოველთვის იარსებებს

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, საერთაშორისო ტერორიზმიც განვითარდა, ამ ასპექტში მოხდა მისი მოდერნიზაცია, რაც გამოიხატა იმაში, რომ დღეს ტერორისტები იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებზე ადაპტირებულ მეთოდებს. მაგალითად თუ ადრე ტერორისტი ასოცირდებოდა ვიზუალით მხოლოდ წვერთან და უბეში იარაღთან, დღეს ტერორისტის ვიზუალური იდენტიპიკაციაც გართულებულია, რამეთუ მათ მოახერხეს და დღეს ბევრ ლეგალურ ორგანიზაციაში მოახდინეს შეღწევადობა.

ტერორისტული დაჯგუფებები დღეს ბევრი კომერციულ, ლეგალურ ორგანიზაციაში არიან, ეს ტენდენცია მიანიშნებს იმაზე, რომ ტერორისტული ორგანიზაციები რომლიბიც ადრე იატაქ ქვეშა ორგანიზაციები იყვნენ, ხოლო მათი წევრები ერთგვარ ასკეტურ კონსპირაციულ ცხოვრებას ეწეოდნენ დღეს საერთაშორისო ტერორიზმის პირობებში მათ მოახერხეს განშლა და ადაპტირება თანამედროვე რეალობასთან. ეს ყველა ზემოთ აღნიშნული გარემოება ერთი ორათ ართულებს მათ წინააღმდეგ ბრძოლას,შესაბამისად სპეც სამსახურების კონტრ ტერორისტული ღონისძიებები მათ

შორის ე.წ sig-int , image int (თანამგზავრული სატელიტური სიგნალური და ფოტოდაზვერვა) hum int ადამიანური რესურსებით დაზვერვა, საჭიროებს დახვეწას განსაკუთრებით ადამიანური რესურსებით დაზვერვის ე.წ hum int-ის მიმართულებით, რამეთუ აღნიშნული კომპონენტი ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან კონტრ ტერორისტული ბრძოლის კუთხით.

## 1.3 რელიგიური ტერორიზმი როგორც საერთაშორისო ტერორიზმის შემადგენელი ნაწილი

რელიგიური ტერორიზმი, როგორც საკუთრივ ტერორიზმის ერთ ერთი ყველაზე მასშტბური მძიმე და ბრუტაულური მიმდინარეობა დღეს დღეობით ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებულ მიმდნარეობათაგან ყვლაზე აქტუალურია, განსხვავებით პოლიტიკური, სოციალურ ეკონომიკური და ეთნიკურ ნაციონალისტური მიმდინარეობებისაგან, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში ნაკლებად ფუნქციონირებს, რელიგიური ტერორიზმი მათგან განსხვავებით დღეს საერთაშორისო ტერორიზმის მთავარ სახეს წარმოადგენს. მას აქვს საკმაოდ მყარი იდეოლოგური, მენტალური და გარკვეულ წილად პოლიტიკური საფუძვლები. შესაბამისად მის წინააღმდეგ ბრძოლა ანუ კონტრ ტერორისტული ოპერირება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

წამყვანი საერთაშორისო აქტორების სპეც სამსახურებისათვისრელიგიური ტერორიზმი საკუთარი ექსტრემისტული და რადიკალური ფუნდამენტალიზმით დღევანდელი ცივილიზებული მსოფლიოს საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს,აღნიშნული მიმდინარეობა გამოირჩევა ფანატიზმით, რელიგიური

ექსტრემისტული ტერორისტული დაჯგუფებები გამოირჩევნიან საკუთარი  მძლავრი ფანატიზმით. მასში არსებული მებრძოლები ე.წ მუჯაჰედირები ანუ (რწმენისათვის მებრძოლი ჯარისკაცები) თავიანთი ღმერთისათვის, ალაჰისათვის წირავენ თავს.

ეს ე.წ „კამიკაძე“თვით მკვლელი მებრძოლები საკუთარ თავს წირავენ იმ რწმენით, რომ ისინი შემდგომ სასუფეველში დაიმკვიდრებე ადგილს. ეს ერთგვარად ნეო ასასინული მიმდინარეობაა. ისლმაური ჯიჰადი ანუ კლასიკური გაგებით ომის გამოცხადება ისლამისათვის უკვე მრავალი ათწლეულია რაც ისლმისტ მებრძოლებს სისხლში აქვთ გამჯდარი, ისინი მოქმედებენ შარიათის კანონებით და ყურანზე ფიცის დადებით მთავარ მიზნათ ალაჰისათვის საკუთარი სიცხოცლის გაწირვას ისახავენ. ეს ულტრა კონსერვატულ,რადიკალურ მენტალობას წარმოადგენს.

მათი მიზნები სხვადასხვა დროსა და მოცემულობაში სხვადასხვა იყო, მაგალითად ისლამისტი რელიგიური ექსტრემისტები იბრძვიან ე.წ მათი გაგებით თანასწორობისათვის,ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ნეოკოლონიზატორული, სიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ,მათი ბრძოლა რელიგიური მოტივებით ამ ადამიანებს სისხლში აქვთ გამჯდარი. ცნობილი გამონათქვამი „ყველა მუსლიმი არ არის ტერორისტი მაგრამ ყველა ტერორისტი მუსლიმია“ ალბათ ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა მათი მენტალობის

თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ისლამი, თავისი არსით, არისმშვიდობის, იმედის, ჰარმონიის, სიკეთის და ძმობის მქადაგებელი რელიგია. ისლამი ტერორს არ ქადაგებს, მაგრამ თვით პიროვნებები ხშირად რელიგიას ამოფარებულნი ტერორს ავრცელებენ. ტერორისტები შეიძლება აღიარებდნენ ისლამს, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ისლამი ტერორიზმს ქადაგებს. ისლამი, ისევე როგორც ბუდიზმი და ქრისტიანობამშვიდობის მქადაგებელი რელიგიაა, თუმცა, ყოველთვის გამოჩნდება ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც რწმენით მანიპულირებს და რელიგიურ ფუნდამენტებს განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემს

რელიგიური ტერორიზმი არის ტერორიზმის ფორმა, რომელსაც ასრულებს ადამიანთა ჯგუფი, რელიგიური მოტივებით. ისტორიის მანძილზე, ბევრი ფაქტი არსებობს,

ტერორისტული აქტების, რომლებიც ჩადენილ იქნა რელიგიურ ნიადაგზე, რათა გაევრცელებინათ რომელიმე მრწამსი ან შეხედულება. რელიგიური ტერორიზმი, აუცილებლად არ განსაზღვრავს რომელიმე რელიგიის თვალსაზრისს ან შეხედულებებს, არამედ განსაზღვრავს ამ ადამიანის ან ჯგუფის შეხედულებას ან მათ ინტერპრეტაციას კონკრეტული რელიგიის.

ისლმაური სამყაროს ბევრი რადიკალური ექსტრემისტული დაჯგუფებეი ჰყავს რომლთაც ყველას სხვადასხვა ფრომები და სტრუქტურა გააჩნიათ, თუმცა მიზანი ერთია რელიგიური ექსტრემიზმის და ისლამური რადიკალური ფუნდამენტალიზმის გაღვივება მთელს მსოფლიოში.აღსანიშნავია, რომ ღია წყაროების მიხედვით რელიგიური ისლამური ექსტრემიზმი ჯერ კიდევ 7-ე საუკუნეში არსებობდა, რომელმაც შემდგომში ჰპოვა ეტაპობრივი განვითარება და დღემდე მოაღწია. ხოლო განსაკუთრებული ტრანსფორმაცია კი გასული 20-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან განიცადა. მას ჰქონდა ბევრი ხელსემწყობი ფაქტორები

ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ანტი კოლონიალური მოძრაობები და ირანის 1979 წლის დიდი ისლამური რევოლუცია, რომლის შედეგადაც მონარქიული წყობილება შაჰის მმართველობით თეოკრატიამ ჩაანაცვლა. გადა ამისა მნიშვნელოვანი გარდამტეხი მომეტები იყო ავღანეთის საბჭოთა ოკუპაცია და ამეიკის შეერთებული შტატების სამეხდრო სამშვიდობო ოპერაციები ერაყსა, ქუვეითსა და ავღანეთ პაკისტანში. ამ ყველა გარემოებამ წამყვან ისლამურ ექსტრემისტულ ტერორისტულ დაჯგუფებებეს უბიძგა ე.წ მათი გაგებით დასავლეთის კოლონიზატორულ, სიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა დაეწყოთ.

არსებობს ისლმაური ტერორისტული უამრავი ტრანს ნაციონალური ორგანიზაცია მათ შორის ყველაზე გავლენიანი და მასშტაბურებია :

ალ ქაიდა - იგივე ალ ყაიდა იგივე „ჩვენი ბაზა“

ულტრა კონსერვატული ისლმაური ტერორისტული ორგანიზაცია

დაარსების თარიღი - 1988 წელი სუნიტური ტრანსნაციონალური ტერორისტული ორგანიზაცია მიმდინარეობები :

სალაფისტურიჯიჰადიზმი, ვაჰაბიზმი

პან ისლამიზმი ანტისემიტიზმი ანტისიონიზმი

ძირითად ლოკაციურ დასაყრდენს წარმოადგენს - ავღანეთი, პაკისტანი ერაყი , იემენი . სომალი , სირია

1993-2006 წლებში მიჩნეული იყო როგორც ყველაზე მასშტაბური დიდი

და გავლენიანი ტრანსნაციონალური ტერორისტული ორგანიზაცია

ალ ქაიდას ისლამისტურ ექსტრემისტულ ჯიჰადისტური ტერორისტული

ორგნიზაციებიდან ყველაზე მეტი ტერორისტული აქტი აქვს

ორგანიზებული მათგან ყველაზე მეტი კი ამერიკის შეერთებული

წინააღმდეგ დღეს დღეობით ალ ქაიდას ისლამური ჯიჰადი მხოლოდ

ავღანეთ პაკისტანში ვრცელდება ისიც შეზღუდულად

თალიბანი - სუნიტური რადკილაურ ფუნდამენტალური ტერორისტული

ორგანიზაცია დაარსების თარიღი - 1996 წელი , იდეოლოგიური

მიმართულებები - რელიგიური ნაციონალიზმი სამხედრო პოლიტიკური

მიზნები ლოკაციური დასაყრდენი - ავღანეთი, პაკისტანი

ISIS ისლამური სახელმწიფო - იგივე ისლამური დაიში ერაყისა და ლევანტეს

სახალიფო სუნიტური სალაფისტურ ჯიჰადისტური

ტრანსნაციონალური ორგანიზაცია დაარსების თარიღი - 1999წელი

თუმცა აქტიური მოქმედებები ალ ქაიდას დასუსტების შემდგომ

2014 წელს დაიწყო ლოკაციური დასაყრდენი - ერაყი , სირია ,

ლიბანი , იემენი , ალჟირი , სომალი , დღეს დღეობით ყველაზე მსხვილი

და გავლენიანი ორგანიზაცია ,თუმცა სირიაში ბოლო დროს

ჩატარებული საკოალიციო ანტიტერორისტული ღონისძიებების

შედეგად მატი პოზიციები მკვეთრად შესუსტებულია

ჰამასი - იგივეისლამისტური წინააღმდეგობის მოძრაობა , პალესტინური სუნიტური

ტერორისტული ორგანიზაცია რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს
ისრაელის სახელწმფოს განადგურება დაარსების თარიღი - 1987 წელი
ლოკაციური დასაყრდენი - ღაზას სექტორი
გააჩნია საკუთარი მძლავრი სამხედრო და პოლიტიკური სტრუქტურები
და შესაბამისად აქვს სამხედრო პოლიტიკური მიზნები

ჰეზბოლა - შიიტური ისლამისტური ლიბანური ორგანიზაცია
დაარსების თარიღი - 1985 წელი ჰეზბოლას სამხედრო და
პოლტიკურ პარტიადაც მოიხსენებენ , ძირითად იდეოლოგიას
წარმოადგენს - ისლამური ნაციონალიზმი , ანტისიონიზმი
ანტი დასავლური იმპერიალიზმი ჰომეინიზმი ანტისმიტიზმი
ჰეზბოლა ირან-ისრაელის სამხედრო კონფლიქტის წიაღში
წარმოიშვა მას დღემდე ირანის ისლამური რესპუბლიკა აფინასებს

ბოკო ჰარამი - ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაცია რომელიც
წარმოადგენს თალიბანის ერთგვარ დასაყრდენს დასავლეთ
აფრიკაში ლოკაცია - ნიგერიის ჩრდილეთით
დაარსების თარიღი - 2002 წელი იდეოლიგია -
ვაჰაბიზმი და სალაფისტური ჯიჰადიზმი
ბოკო ჰარამს დასაყრდენი ასევე კამერუნშიც გააჩნია

ლაშქარ ტაიბა - იგივე ღვთის არმია სამხრეთ აზიის ერთ ერთი ყველაზე
მსხვილი და გავლენიანი ტერორისტული ორგანიზაცია
ძირითადად ოპერირებს პაკისტანში დაარსების თარიღი
-1987 ლოკაცია - პუნჯაბის პროვინცია პაკისტანი
ალ შაბაბი - ჯიჰადისტურ ფუნდამენტალისტური ტერორისტული
ორგანიზაცია დაარსების თარიღი - 2012 წელი
აღნიშნული ორგანიზაცია ოპერირებს აღმოსავლეთ აფრიკაში

ალ შაბაბი ალ ქაიდას ერთ ერთი ფრთისაგან ჩამოყალიბდა
ორგანიზაცია დღემდე აკონტროლებს სამხრეთ სომალის
ტერიტორიას ჯიჰადისტს მუჯაჰედირთა რადენობა - 7,000
ორგანიზაცია მიზდევს ვაჰაბიზმსა და ისლამიზმს

ყველა ამ ტერორისტულ ორგანიზაციას გააჩნია მოქმედებათა საკუთარი ტაქტიკა. თუმცა ყვალა მათგანის მიზნები მაინც საერთოა და წარმოადგენს ისლამური ექსტრემისტული ჯიჰადის განვრცობას მთელს მსოფლიოში, აგრეთვე ცივილიზებული დასავლური სამყაროს და მისი წამყვანი აქტორი სახელწმფოების განადგურებას. ქვემოთ მოგითხობთ თითოეული ტერორისტული ორგანიზაციის კონკრეტულ დახასიათებას, მათ მიერ ორგანიზებულ ტერორისტულ აქტებს, ასევე აშშ-ს სპეც სამსახურების და ნატოს ანტი ტერორისტულ პოლიტიკას მათ წინააღმდეგ.

## „ალ ქაიდა“

### ჩამოყალიბების ისტორია

ალ ქაიდას ტერორისტული ორგანიზაცია განსხვავებით სხვა ისლამური რადიკალური ექსტრემისტული ქსლებისაგან გამოირჩვა საკუთარი იდეოლოგიური თუ სტრუქტურული ინდივიდუალიზმით, ის წარმოადგენს ტრანსნაციონალურ ორგანიზაციას, რამეთუ დასაყრდენი ბევრ რეგიონში გააჩნია, განსაკუთრებით კი ახლო აღმოსალვეთში. ალ ქაიდა სუნიტური ისლამური ჯიჰადისტური ორგანიზაციაა, სალაფიტური, ვაჰაბიტური, ჯიჰადისტური და პან ისლამისტური მიმდინარეობბებით.მთავარ პრიორიტეტად ანუ ერთგვარ იდეოლოგიად ალ ქაიდა მიზნად ისახავს ანტი სიონისტურ და ანტისემიტისტურ განზრახვებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ანტიკოლონიზატორულ მოძრაობას

ორგანიზაცია ოფიციალურად 1988 წელს შეიქმნა, რომლის დამფუძნებელი და ლიდერი წარსულში მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი ოსამა ბინ ლადენი იყო. ვფიქრობ ,რომ საჭიროა ვისაუბროდ ამ ორგანიზაციის დაფუძნების რეალურ მიზნებსა
და მიზეზებზე. ალ ქაიდა რეალურად თავდაპირველად აშშ-ს მხადაჭერით ავღანეთის საბჭოთა კავშირის სამხედრო ოკუპაციის შემდგომ შეიქმნა, და მიზნად ისახავდა ორგანიზაციის ანტი საბჭოთა და ავღანეთის ანტისოვიეტიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

ალ ქაიდას მუჯაჰედირებს სტინგერებითაც (რაკეტსაწინააღმდეგო) სისტემური იარაღებითაც ამარაგებდნენ. ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოსვლის შემდგომ. როდესაც დასრულდა ცივი ომი და გეოპლოტიკური ლანდშაპტი ბიპლოარული სიტემა მონიპლარულმა ანუ აშშ-ს დომიციამ შეცვლა, ხოლო 1991 წელს კი ერაყმა მოახდინა ქუვეითში სამხედრო ინტერვენცია, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სპარსეთის ყურეში გაიმყარა პოზიციები. ალ ქაიდამ მოახდინა ერთგვარი შეკავშირება ოსამა ბენ ლადენმა თავი მოუყარა იმ მუჯაჰედირებს, რომლებიც ავღანეთში საბჭოთა კავშირს ებრძოდნენ. ორგანიზაციამ ოფიციალურად  გამოუცხადა ისლმაური ჯიჰადი ამერიკის შეერთებულ შტატებს
ჯერ კიდევ 1983-84 წ.წ. პაკისტანის ტერიტორიაზე უკვე მაშინ ავღანეთში კარგად ცნობილი საველე მეთაურის უსამა ბენ ლადენის მეშვეობით ყალიბდება ორი ორგნიზაცია: “გადარჩენის ისლამური ფონდი” და “მიმდევრების სახლი” (Maktab al-Khidamat – Arab.: مكتب الخدمات or مكتب بخدمات المجاهدين العرب, MAK – რედ. შენ).
პირველის ფუნქციას შეადგენდა ავღანეთში მებრძოლი მოჯაჰედინებისათვის სათანადო თანხის, შეიარაღების და აღჭურვილობის შეგროვება, მეორისას კი, რომლის ქსელი მოდებულ იყო დაახლოებით 30 ქვეყანაში, მოხალისეების მოზიდვა, მათი სამხედრო მომზადება პაკისტანში და გადასროლა ავღანეთში საბჭოთა არმიასთან საბრძოლველად. 1988 წლამდე ბენ ლადენმა ამ ორი ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და დაფინსანებით მოიხვეჭა ძალიან კარგი იმიჯი და დაბრუნდა თავის სამშობლოში, საუდის არაბეთში, როგორც საღვთო ომის მონაწილე გმირი. თუმცა მისი იდილია

საუდიდების სამეფო დინასტიასთან დიდხანს არ გაგრძელებულა. 1989 წ. იგი, ცნობილ ისლამისტ მუჰამედ ალ-მასსარისთან ერთად, სათავეში ჩაუდგა არაბ ავღანელებს და ორგანიზაცია "მიმდევრების სახლის" ბაზაზე დააფუძნა პოლიტიკურ-ექსტრემისტული ორგანიზაცია "ალ-ქაიდა", რომელიც გამოხატავდა ოპოზიციურ იდეებს ე.წ. "სვეტური რეჟიმების" მიმართ. ორგანიზაციის ძირითად მიზანს შეადგენს პან-ისლამური ხალიფატის დაარსება ისლამურ სამყაროში და შემდეგ მისი ექსპანსია მსოფლიო მასშტაბებით და ისლამურ სამყაროში ე.წ. "სვეტური" რეჟიმების დამხობა. ორგანიზაციის მთავარ მტრებად მიჩნეული არიან აშშ და ისრაელი. უსამა ბენ ლადენმა ორგანიზაციის იდეოლოგიურ კრედოდ აირჩია ვაჰაბიზმი — სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა.

## დაფინანსების წყარო

ალ ქაიდა შექმნიდან, მისი დომინაციის ბოლომდე ინარჩუნებდა ფინანსურად მძლავრი ტერორისტული ორგანიზაციის სახელს. მას ჰქონდა როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური ფინანსური წყარეობი.ლეგალურ წყაროებით მას ბინ ლადენი აფინანსებდა, ხოლო არალეგალური წყაროებით კი ავღანეთ პაკისტანის ტერიტორიაზე არსებული ტრეფიკინგითა, და ნარკო ვაჭრობით.კერძოდ ჰეროინის გაყიდვიდან შემოსული თანხებით,პაკისტანის სპეც სამსახურების წყაროებით ალ ქაიდა დაფინანსებას საუდის არაბეთის სამეფო ოჯახიდანაც იღებდა, ეს ინფორმაცია შემდგომ აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომაც დაადასტურა. გარდა საუდის არაბეთის ოჯახისა, ორგანიზაცია დაფინანსებას ქუვეითიდან და ყატარიდანაც იღებდა.

არაოფიცილაურად ალ ქაიდას წლიური შემოსავალი 200 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.

დღეს დღეობით ალ ქაიდას ბიუჯეტი ყოველ წლიურად 70 მილიონ დოლარს შეადგენს.

## განხორციელებული ტერორისტული აქტები

ალ ქაიდას როგორც ტერორისტული ორგანიზაციის მიერ პირველი ტერორისტული აქტი განხორციელდა 1992 წელს იემენში, სადაც ქალაქ ადენში ჯიჰადისტებმა ააფეთქეს სასტუმრო, რომელშიც იმყოფებოდნენ აშშ-ს სახმელეთო ჯარების სარდლობის დანაყოფები, რომლებიც სომალიში მიემგზავრებოდნენ სამშვიდობო მისიით.

ალ ქაიდას მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების 80% ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ აქვს, მის გარე ტერიტორიაზე, ხოლო ერთი 9/11 უშუალოდ ამერიკის ტერიტორიაზე.

პირველი მასშტაბური ტერაქტი ალ ქაიდამ 1998 წელს განახორციელა, კენიის დედაქალაქ ნაირობიში, სადაც ჯჰადისტებმაააფეთქეს აშშ-ს საელჩო ხოლო, ტანზანიაში კი განახორციელეს ანალოგიური ტიპის ტერორისტული აქტი.მსხვერპლი 224, ხოლო დაშავებული 5000 მდე ადამიანი. ასევე აღსანიშნავია, რომ 1993 წელს ორგანიზაციამ განახორციელა წარუმატებელი ტერაქტი მსოფლიოს სავაჭრო ცენტრზე, ოპერაციის ჩავრადნის მიზეზი გამოუცდელი კამიკაძე ჯიჰადისტები იყვნენ, თუმცა შემთხვევას მსხვერპლი მაინც მოჰყვა, კამიკაძე თვითმკვლელი ტერორისტის მიერ გატაცებულმა ავტომობილმა 5 ადამიანი იმსხვერპლა. აღსანიშნავია ,რომ თვითმკვლელი სპეციალურ მომზადებას ავღანეთში პროვინცია ჯალალაბადში განლაგებულ ალ ქაიდას საიდუმლო ბაზაზე გადიოდა ბინ ლადენისა და "ალ-ქაიდას" საქმიანობის პიკად შეიძლება მივიჩნიოთ 1998 წლის თებერვალში შექმნილი საერთაშორისო გაერთიანება: "ებრაელების და ჯვაროსნების წინააღმდეგ ისლამური მსოფლიო ფრონტი" (ინგ.: World Islamic Front for Jihad Against Jews and Crusaders). მასში გაერთიანდნენ შემდეგი ორგანიზაციები: "ალ-ქაიდა", "ალ-გამაა ალ-ისლამი" (ეგვიპტე), "ალ-ჯიჰადი" (ეგვიპტე), "ხარაკატ ულ-ანსარი" (კაშმირი), "ჯიჰადი" (ბანგლადეში), "რჩევა და რეფორმის" სამხედრო ფრთა (ავღანეთი) და "ღვთისმსახურთა საზოგადეობა" (პაკისტანი).

## 9/11 ტერორისტული აქტები

ყველაზე მასშტაბური, ბრუტალური და სისხლის მღვრელი ტერორისტული აქტი კაცობრიობის ისტორიაში. 2001 წლის 11 სეტემბერს ნიუ იორკის მსოფლიოს სავაჭრო ცენტრს ამერიკული ავიახაზების კუთვნილი ორი ბოინგი შეეჯახა, რომელიც თვით მკვლელმა ჯიჰადისტებმა გაიტაცეს, პარალელურად დამატებით ორი გატაცებული თვითმფინავიდან ერთი ვირჯინიის შტატის ქალაქ არლინგტონში პენტაგონის შტაბ ბინასთან ახლოს, ხოლო მეორე პენსილვანიის შტატში ჩამოვარდა. მსხვერპლმა 2996 ადამიანი შეადგინა, ხოლო დაშავდა 6000 მდე ადამიანი. მოგვანებით გავრცელდა ოსამა ბინ ლადენის ვიდეო მიმართვა, სადაც მან დაადასტურა, რომ ტერორიტული აქტი ალ ქაიდას მიერ იყო ორგანიზებული. მალევე ამერიკის შეერთებული შტატების სპეც სამსახურებმა აღნიშნული ვიდეომიმართვის ფონოსკოპიური ექსპერტიზით მისი აუთენტურობა დაადასტურეს

9/11 იყო ასიმეტრიული საფრთხისა და იდეოსინკრეტულობის მკაფიო გამოვლინება,აღნიშნული ტერაქტით აშშ-ს, როგორც ზე სახელმწიფოსა და ძლევამოსილ თავისუფალი სამყაროს ლიდერ სახელწმფიოს უდიდესი ზიანი მიადგა,თვითმფრინავების გატაცების შემდგომ აშშ-ს ფედერალურმა ავიანავიგაციის სააგენტომ ოპერატიულად მოახდინა რეაგირება, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოხდა ყველა ჰაერში მყოფი ეკიპაჟის მიწაზე დაშვება, ხოლო აღნიშნული ოთხი ბოინგი ბრძანებას არ დაემორჩილა და არც რადიო სალოკაციო შეტყობინებებს არ პასუხობდა. ეს ყო მკაფიო სიგნალი, რომ ხორციელდებოდა კოპლექსური ორგანიზებული ტერორისტული აქტი, რადარებმა მოახდინეს ოპერატიული რეაგირება და ვირჯინიასა და პენსილვანიის შტატებმში თვითმკვლელებმა გატაცებული თვითმფრინავებით ვერ მოახდინეს ტერაქტების ორგანიზება, განზრახული იყო პენტაგონის შენობის აფეთქებაც. სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ნიუ იორკში ცათამბრჯენების დაცვა, აღნიშნული ორი თვითმფინავი ამერიკის საჰაერო სივრცეში დაახლოებით ოთხი საათი იმყოფებოდა ბოლოს მათ იერიში მსოფლიოს სავაჭრო ცენტრზე რიგ რიგობით მიიტანეს.

აღნიშნული ტერორისტული აქტების შემდეგ არნახული კრიტიკის ქვეშ მოექცა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სისტემა. ეროვნული დაზვერვის თანამეგობრობა,კონკრეტულად კი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და

გამოძიების ფედერალური ბიურო, როემლთა ფუნქციებს წარმოადგენს, ცსს-ს შემთხვევაში საგარეო დაზვერვა და ინფრომაციის მოპოვება მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით, ხოლო ფედერალური ბიურო კი პასუხისმგებელია ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე კონტრ ტერორისტული მიმართულებით. ცალსახად საჭირო იყო წინმსწრები და პრევენტული ღონისძიებების გატარება, აღნიშნული უწყებების მხრიდან თუმცა ფაქტია, რომ ეს ვერ მოხერხდა .

მოგვიანებით ცსს-ს დირექტორმა ჯონ ტენეტმა კონგრესში 9/11 საგამოძიებო დროებით კომისიის სხოდმაზე დაკითხვისას აღნიშნა, რომ ის პრეზიდენტს სისტემატიურად აწვდიდა ანალიტიკურად დამუშავებულ ოპერატიულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ერთ ერთი რელიგიური ექსტრემისტული ორგანიზაციის მიერ მზადდებოდა ტერორისტული აქეტები ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

## ალ ქაიდა 2001 წლიდან 2011 წლის სპეც ოპერაცია „ნეპტუნის შუბამდე“

11 სექტემბრის შემდგომ ალ ქაიდას პოზიციები საგრძნობლად გაძლიერდა და ის ფაქტობრივად იქცა წამყვან ისლამურ ჯიჰადისტურ ორგანიზაციად, ხოლო ბინ ლადენი კი მსოფლიოს ნომერ პირველ ტრორისტად გამოცხადდა. 2004 წლს აშშ-ს წარმომადგენლობითმა პალატამ კონგრესმა მიიღო ფედერალური „პატრიოტის“ კანონი, რომლის მიხედვითაც გამკაცრდა ყველა სახის კონტროლი, სპეც სამსახურებს მიეცათ შეუზღუდავი წვდომის უფლება, როგორც საბანკო გადარიცხვების კონტროლზე, ასევე სასაზღვრო მიმართულებით.

ერაყსა და ავღანეთში აშშ-ს ჯერების შესვლამ პარალელურად კი ნატოს ISAF-ის მისიამ საერთაშორისო კოალიციურმა ანტიტერორისტულმა სისტემამ საკუთარი შედეგები გამოიღო. 2006-2010 წლებში ისლმაური ჯიჰადისტური ორგანიზაციები მათ შორის ალ ქაიდას შეეზღუდათ ოპერირების არეალი. აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს ჰქონდა ოპერატული ინფორმაცია,რომ ალ ქაიდას ძირითადი ლიდერშიპი და თავად ოსამა ბენ ლადენი ავღანეთ პაკისტანის საზღვართან ახლოს იმალობოდა, თუმცა

პერიოდულად იცვლიდა ლოკაციას, პოტენციური სპეცოპერაციისაგნ თავის არიდების მიზნით.

2009-2011 წლებში ალ ქაიდას მნიშვნელოვნად შეეზღუდა ფინანსურ რესურსებზე წვდომა.2011 წლის მაისში კი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტომ პენტაგონის სახმელეთო და საჰაერო ძალების მხადაჭრით,პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადთან ახლოს არსებულ პატარა ქალაქ აბოტაბადში ჩაატარა ანტიტერორისტული სპეც ოპერცია კოდური სახლეწოდებით„ნეპტუნის შუბი“, ხოლო N1 სამიზნე „ჯერონიმო“ ანუ ბენ ლადენი ლიკვიდირებულ იქნა ადგილზე.

მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის ცხედარი კი ეგეოსის ზღვაში ჩაუშვეს.კოსმიური სატელიტურ თანამგზავრული ე.წ (image int , signal int tech int) დაზვერვით მოხდა ალ ქაიდას რამდენიმე წევრის მათ შორის აბუ აზიზის გადაადგილების მარშუტების შესწავლა, ჯიჰადისტები მობილური ტელეფონით არ სარგებლობდნენ, თუმცა კომპიუტერულ ტექნიკას იყენებდნენ, მათ შორის ყალბი იმეილებით ახდენდნენ მიმოწერას, საბოლოოდ კვალი აბოტაბადში არსებულ პატარა საკუთარ სახლამდე მივიდა, სადაც image int signal int-ს საშუალებით მოხდა ოსამა ბენ ლადენის იდენტიფიკაცია.

## ალ ქაიდა დღეს

ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ ორგანიზაციამ უმძიმესი დარტყმა მიიღო და დაღმასვლა განიცადა, ალ ქაიდას ისლამური ჯიჰადი თითქმის აღარ ვრცელდება, მისი მოქმედების არეალი მკვეთრად შეიზღუდა ,და ის ავღანეთ პანკისტანის საზღვრით შემოიფარგლება. ორგანიზაციის ლიდერი დღეს დღეობით არის აიმან ალ ზავაჰირი,

ბენ ლადენის ყოფილი “მარჯვენა ხელი”. ორგანიზაცია ფიანანსურადაც დასუსტებულია, ორგანიზაციის ყოველ წლიური ბიუჯეტი 70 მილიონ დოლარს შეადგენს, მაშინ როდესაც წლების წინ ბენ ლადენის მმართველობის დროს, ორგანიზაციის ყოვლწლიური ბიუჯეტი 200 მილიონ დოლარს აღწევდა. ალ ქაიდას ჯიჰადისტი მუჯაჰედირები აქტიურად არიან ჩართულნი სირიის სამოქალაქო ომში.

# ისლამური სახელმწიფო

## ჩამოყალიბების ისტორია

ისლამური სახელმწიფო, იგივე ისლმაური დაეში, იგივე ერაყისა და ლევანტეს სახალიფო ოფიციალურად 1999 წელს დაარსდა, თუმცა აქტიური ქმედებები 2014 წელს დაიწყო. ორგანიზაცია წარმოადგენს სუნიტურ, ისლამურ, სალაფიტურ, ჯიჰადისტურ მიმდინარეობას, რომლის მთავარი მიზანია ანტისიონისტური ანტისემიტური და ანტიკოლონიზატორული ამოცანები. თავის დროზე ისლამური დაეში 1999 წელს ალ ქაიდას ერთ ერთი ფრთისგან ჩამოყალიბდა და სწორედ ალ ქაიდას დასუსტების და 2011 წლის სპეცოპერაცია „ნეპტუნის შუბის“

(ბინ ლადენის ლიკვიდაციის სპეცოპერაციის კოდური სახელწოდება) შემდეგ გააქტიურდა და ფაქტობრივად დაიკავა მთავარი ისლამისტურ ჯიჰადისტული ორგანიზაციის ადგილი.

ISIS-ის ლიდერია აბუბაქარ ალ ბაღდადი, რომელიც დაეშს დღემდე მართავს. ისლმაური სახელმწიფო ისევე როგოც ალ ქაიდა ტრანსნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციაა, მათი მოქმედების არეალი მოიცავს, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონს ასევე აფრიკის კონტინენტსა და ჩრდილო კავკასიის რეგიონს კონკრეტულად კი ერაყის, ლიბიის, სირიის, ავღანეთის, იემენის სომალის და ალჟირს.

## დაფინანსების წყაროები

ისლამურ სახელმწიფოს საკმაოდ სერიოზული ფინანსური რესურსები გააჩნია, ორგანიზაციის ფინანსურ წყაროს წარმოადგენს, როგორც არალეგალური ისე ლეგალური შემოსავალი. ისლამური სახელმწიფო ფინანსურად თვით მყოფადია, რამეთუ აქვს წვდომა ნავთობ რესურსებზე, აგრეთვე ორგანიზაცია ფინანსდება საუდის არაბეთიდან.

2014 წელს ისლამური სახელმწიფოს ბიუჯეტმა 2 მილიარდ დოლარს მიაღწია,რაც ნიშნავს იმას, რომ დაეში ყველაზე მძლავრი ფინანსური ტერორისტული ორგანიზაციაა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში 2017-2018 სირიის კამპანიამ ორგანიზაციას ფინანსური რესურსები საგრძნობლად შეუმცირა.

## განხორციელებული ტერორისტული აქტები

ისლამური სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტებისნახევარზე მეტი თითქმის 70% ევროპის კონტინენტზე მოდის, პირველი ყველაზე მასშტაბური ტერაქტი ისლამურმა დაეშმა ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში განახორციელა,
სადაც ებრაული მუზეუმში ჯიჰადისტმა თვითმკვლელებმა თავი აიფეთქეს.
2015 წელს იემენში სადაც 142 მსხვრპლი გამოიწვია ხოლო 300 ზე მეტი ადამიანი დაშავდა.
2015 წლის ნოემბერში საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, სადაც ბატაკლანის თეატრის აფეთქების შედეგად დაიღუპა 130 ხოლო დაშავდა 500 ზე მეტი ადამიანი.

ისლამური დაიში პერმანეტულად ანხოციელებს ტერორისტულ აქტებს სირიაში
ყველაზე მასშტაბური ტერაქტი მსხვერპლის თვალსაზრისით, ისლმაურმა სახელმწიფომ 2017 წელს პილიპინებზე მოაწყო, სადაც ქალაქ მარვაიში აფეთქების შედეგად 593 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 600 ზე მეტი კი დაშავდა.დაეშის ბოლო ყველაზე მასშტაბური ტერაქტი შრი ლანკაზე მოხდა, სადაც მსხვერპლმა 300 ადამიანი შეადგინა.

ისლამური სახელმწიფო პარალელურად ქიმიურ იარაღსაც იყენებს, რაც ბირთვული ტერორიზმის ინოვატორული ფორმაა, ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტები ძირითადად სირიასა და ერაყში ფიქსირდებოდა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ისლამურ სახელმწიფოს ტერორისტული აქტები მსოფლიოს ყველაზე მეტ წერტილში აქვს განხოციელებული, ამ მკუთხით მან ალ ქაიდასაც აჯობა.დაეში აქტიურად იყენებს პროპაგანდისტულ საშუალებებსაც, განსაკუთრებით კი სოციალურ ქსელებს, რომლის გამოყენებითაც ხდება ე.წ „რეკრუტირება“ მოხალისე პირების ჩარიცხვა დაეშის რიგებში.

## ისლამური სახელმწიფო დღეს

სირიაში განვითარებულმა ბოლო მოვლენებმა კერძოდ ბაშარ ასადისა და დაეშის წინააღმდეგ არსებულმა საერთაშორისო საკოალიციო ანტიტერორისტულმა ძალებმა დაეშს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა. დაჭრილ იქნა ორგანიზაციის ლიდერი ალ ბაღდადი. თურქეთის მოსაზღვრე პროვინცია იდლიბი მთლიანად გაწმენდილ იქნა დაეშისაგან, ხოლო ალეპოსა და ჰოლმსში პოზიციები საკმაოდ შესუსტებულია.დაეშის ძირითადი ბირთვი ერაყში გაედინა.

ფაქტობრვად სირია ისლამური სახელმწიფოს ჯიჰადისაგან გაიწმინდა, თუმცა ეს ისლამური სახელწმიფოს დასასრულს არ ნიშნავს, ორგანიზაციას გააჩნია საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები, რომ ხელსაყრელი მომენტისათვის კვლავ მოახდინოს ძალების კონსოლიდაცია. მანამდე დაეში ე.წ განშლას ეცდება ერაყსა და იემენში, ორგანიზაცია ინარჩუნებს დასაყრდენს, აფრიკის კონტინენტზე ალჟირში სომალიში იემენში.რაც შეეხება ლიბიას, ლიბიაში განლაგებულია დაეშის ბევრი სამხედრო ბაზა.ამ ყველა არსებული გარემოებიდან გამომდინარე არსებობს იმის ალბათობა, რომ ისლამურმა სახელმწიფომ მოახერხოს ხელახალი კონსოლიდაცია, უპირველეს ყოვლისა ფინანსური რეზერვების და დარჩენილი ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების ხარჯზე.

## თალიბანი

თალიბანი წარმოადგენს ულტრა კონსერვატორულ, ისლამურ ,სუნიტურ ჯიჰადისტურ ტერორისტულ ორგანიზაციას, ის სხვა ორგანიზაციებისაგან განსხვავებულია საკუთარი კონსერვატულობით და ღრმა ტრადიციული ნაციონალიზმით.

თაბლიბანი (მას ასევე მოიხსენიებენ, როგორც ავღანეთის ისლამური საამირო), ოფიციალრად 1994 წელს დაარსდა,მისი დამფუძნებელი იყო მოლა მუჰამედ ომარი, ორგანიზაცია შეიცავს პოლიტიკურ და სამხედრო კომპონენტებს. არის ულტრა კონსრვატული, ფუნდამენტალისტური, ტერორისტული ორგანიზაცია. ამჟამად თალიბანის ლიდერია მეუაივი ჰიბატულაჰ აკუნდზადა, ძირითადი იდეოლოგიური მიმართულებებია სუნიტური ფუნდამენტალიზმი და რელიგიური ნაციონალიზმი.

თალიბები ანუ თალიბანის ჯიჰადისტი მუჯაჰედირები ითვლებიან, როგორც ყველაზე მაღალპროფესიონალი მებრძოლები, რომლებსაც უდიდესი საბრძოლო გამოცდილება აქვთ მიღებული. განსხვავებით ალ ქაიდასაგან თალიბანი არი არის ტრანსნაციონალური ტერორისტული ორგანიზაცია, ის ოპერირებს ქვეყვნის შიგნით. მისი მოქმედების სივრცულ არეალს წარმოადგენს ავღანეთ პაკისტანის ტერიტორიები, ხოლო ბაზა კი სადაც თალიბანის ლიდერშიპია განლაგებული პაკისტანის პროვიცნია ქუეტაშია დისლოცირებული.თალიბანი მკაცრად იცავს ისლამური შარიათის კანონებს ამიტომ მას უწოდებენ, როგორც ყვალაზე ტრადიციულ ჯიჰადისტურ პან ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციას.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტმა "თალიბანს" ბენ ლადენის გადაცემა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო, (ავღანეთში ხელისუფლება ბენ ლადენის ტერაქტებთან დამაკავშირებელ მყარ არგუმენტებს ითხოვდა, რის შემდეგაც აცხადებდა რომ ბენ ლადენს სასამართლოს თავად მოუწყობდა ავღანეთში). ამის გამო 2001 წლის 22 სექტემბერს ავღანეთთან დიპლომატიური კავშირი საუდის არაბეთმა და გაერთიანებულმა საემიროებმა გაწყვიტეს, ხოლო 7 ოქტომბერს ნატოს კოალიციის ჯარებმა ავღანეთზე საჰაერო იერიშები მიიტანეს, ორ თვეში თალიბებმა ყანდაარი დაკარგეს, როგორც ექსპერტები ფიქრობენ, "მოწაფეებმა" გროზნოს დამცველთა შეცდომა გაითვალისწინეს და ქალაქი უბრძოლველად დატოვეს, ყანდაარის შემდეგ თალიბანმა ქაბულიც დაკარგა და პარტიზანულ ომზე გადავიდა. თალიბანი ყველაზე მობილური მაისი-აგვისტოს პერიოდშია, როდესაც კლიმატი თბილია. აშშ ავღანეთში შესვლის პირველ 7 თვეში 30 მილიარდი დოლარი დახარჯა. ზუსტად ამდენი დაიხარჯა საბჭოთა ჯარების ყოფნისას ავღანეთში 1979-1989 წწ.

## დაფინანსების წყაროები

თალიბანი ფინანსრად საკმაოდ თვითმყოფადი როგანიზაციაა, რამეთუ ის ეწევა ტრეფიკინგსა და ნარკო ვაჭრობას. დაფინანსების ძირითად წყაროს ნარკოტიკებით ვაჭრობა წარმოადგენს, ეს მისი ბიუჯეტის შევსების ყველაზე დიდი წყაროა.

თალიბანს ავღანეთის რამდენიმე პროვინციაში საკუთარი ოპიუმის ყაყაჩოს ბაღები გააჩნია, საიდანაც ქარხნიდან ახდენენ ჰეროინის წარმოებას და შემდგომ კი მის რეალიზაციას, როგორც ავღანეთში ასევე მის ფარგლებს გარეთ.
რაც შეეხება ტრეფიკინგს ადამიანების გატაცება და შემდგომ მისით გამოსასყიდზე ვაჭრობა ასევე წარმოადგენს ამ ორგანიზაციის ბიუჯეტის შევსების ერთ ერთ წყაროს, მხოლოდ ნარკო ვაჭრობით თალიბანი ყოველ წლიურად იღებს 100 დან 130 მილიონ დოლარამდე შემოსავალს. აღნიშნული შემოსავლის თითქმის 70 % ხმარდება იარაღისა და საბრძოლო მასალების სამხედრო ამუნიციის შესყიდვას.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით თალიბანის ბიუჯეტი 300 მილიონ დოლარს შეადგენს. თალიბანი არ იღებს არანაირ გარე თუ შიდა დაფინანსებას, მისი ფინანსური რესურსები მხოლოდ ორგანიზაციის მიერ მოპოვებულ შემოსავალზე დგას

## თალიბანის წინააღმდეგ განხორციელებული ანტიტერორისტული ღონისძიებები

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდგომ აშშ-ს ადმინისტრაციამ ნატოს როგორც სამეხდრო პოლიტიკურ ბლოკთან ერთად გამოაცხადა საერთაშორისო ტერორიზმის და რელიგიური  ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შეასახებ, შეიქმნა საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიცია, რომლის მთავარ მიზანს ავღნეთისა და ერაყის ისლამური ჯიჰადისაგან გაწმენდას ისახავდა მიზნად,

2001 წლის ოქტომბერში აშშ-სა და ნატოს ევროპული და ატლანტიკური სარდლობის დანაყოფები შევიდნენ ავღანეთიში პრეზიდენტ ჰამიტ კარზაის მხარდასაჭერად, აღნიშნულმა მოვლენებმა საგრძნობლად შეასუსტა თალიბანის პოზიციები ავღანეთში, მათ ძირითადი ძალები მოსაზღვრე პაკისტანში გადაისროლეს, სადაც ორი სამხედრო ბაზა იყო განთავსებული. თალიბებმა დაკარგეს კონტროლი დედაქალაქ ქაბულზე, აგრეთვე პროვინციებზე ჯალალაბადსა და ჰელმანდზე.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ყანდაღარის პროვინციაში დღემდე ინარჩუნებენ საკმაოდ ძლიერ დასაყრდენს.

2010 წლის მონაცემებით თალიბანის მებრძოლ მუჯაჰედირთა რაოდენობა 27000 შეადგენდა, აღსანიშნავია, რომ თალიბანის სრული განადგურება ურთულესი ამოცანაა რამეთუ თალიბები იყენებენ ე.წ პარტიზანულ ტაქტიკას, განშლადობას და შესაბამის დანაყოფებად გადანაწილებას. დღეს დღეობით მიუხედავად იმისა, რომ თალიბანს ფაქტობრივად დაკარგული აქვს კონტროლი ავღანეთის უდიდეს ნაწილზე, პაკისტანში განლაგებული ძალების ხარჯზე ინარჩუნებენ ორგანიზაციას და ცდილობენ წერტილოვანი დარტყმებით მიაყენონ ზიანი ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებას.

# თავი მეორე - ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკა

## 2.1 ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში

ნატოს როგორც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის და ევროპის სახმედრო პოლიტიკური ალიანსის როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში განუზომლად დიდია, განსაკუთრებით საერთაშორისო კოალიციური ანტიტერორისტული მისიების თვალსაზრისით.

ნატოს განსაკუთრებული როლი აღსანიშნავია 2001 წლის ავღანეთსა და 2004 წლის ერაყის სამხედრო კამპანიების დროს, სადაც პირველ რიგში ავღანეთში 2001 წლის დეკემბრის თვეში ნატოს და გაეროს ეგიდით შეიქმნა საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალები, იგივე ISAF,აღნიშნული მისია მიზნად ისახავდა ავღანეთის ტერიტორიაზე თალიბანის და ალ ქაიდას წინააღმდეგ ფართო მასშტაბიან ბრძოლას. მისიამ ფაქტობრივად გადამწყვეტი როლი ითამაშა ავღანეთის ტერიტორიის თალიბანისაგან გაწმენდაში, რის შედეგადაც ავღანეთის ისლამური სახელმწიფო ჰამიტ კარზაის პრეზიდენტობით, კვლავ მოექცა სახელმწფოებრივ სუვერენულ ჩარჩოებში, ხოლო ისლამური ჯიჰადი კი საგრძნობლად შესუსტდა ავღანეთის ტერიტორიაზე.

2004 წელს კი გაეროს უშიშროების საბჭოს ნომერ 1546-ი რეზოლუციის მხედვით ერაყში შევიდა ნატოს სპეციალური საწვრთნელი მისია, რომელიც მიზნად ისახავდა პოსტ სადამ ჰუსეინის ხელისუფლების მიერ განადგურებული სახმედრო ინფრასტრუქტურის აღდგენას. ადგილობრივი ერაყული შეიარაღებული ძალების მომზადებას და აგრეთვე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნული მისია წარმატებით დასრულდა 2011 წლის დეკემბერში.რეალურად ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ამ ორმა უმნიშვნელოვანესმა მისიამ, გადამწყვეტი როლი ითამაშა ახლო აღმოსავლეთში კონკრეტულად კი ავღანეთ პაკისტანშსა და ერაყში ისლამური ჯიჰადის შესუსტებაში.

საერთაშორისო ტერორიზმი, როგორც ტრანსნაციონალური საერთაშორისო გლობალური მოძრავი დანაშაულებრივი აქტი, რომელიც გაცდენილია კონკრეტული

ქვეყნების საზღვრებს და არის კომპლექსური სისტემური პრობლემა, ვფიქრობ, რომ სწორედ მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროებს ანალოგიური სახის კონტრტერორისტული ღონისძიებების გატარებას, საერთაშორისო კოალიციური ძალების მონაწილეობით.

ნატო კი როგოც საკუთრივ ევროპის სამხედრო ალიანსი, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისა და მერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს, სწორედ მსგავს პრობლემასთან საბრძოლველად წარმოადგენს წამყვან ძალას.ყველა აღნიშნულ გარემოებებიდან გამომდინარე ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში უდიდესია.

მხოლოდ ჩრდილოატლანტიკრ ალიანსს ძალუძსს კომპლექსური, კოალიციური ფორმებით საერთაშორისო ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის წარმოება, და ეს რესურსი ნატომ 21-ე საუკუნის პირველ დეკადაში 2001-2011 წლებში ცივილიზებულ მსოფლიოს უკვე უჩვენა.

## 2.2ნატოს ანტიტერორისტული ოპერაციები

ნატოს როგორც სამხედრო ბლოკის პირდაპირი მოვალეობაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, და შესაბამისად ალიანსის წესდების მიხედვით ტრორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ანტიტერორისტული ოპერაციების დაგეგმარება და შემდგომ მისი განხორციელება. საერთაშორისო ტერორიზმის ჩამოყალიბების და შემდგომში მისი აქტიური მოქმედებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მე 20-ე საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში, ნატომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ანტიტერორისტული ოპერაცია ჩაატარა ახლო აღმოსავლეთში.

2001 წელს ავღანეთში ISAF-ის საერთაშორისო სამშვიდობო მისიის, ხოლო 2004 წელს კი ერაყში განხორციელებული ოპერაციების სახით. რის შედეგადაც ავღანეთში დასრულდა თალიბანის მმართველობა, შეიზღუდა ალ ქაიდას ტერორისტული ქსელი, და ზოგად

კონტექსტში ისლამური ჯიჰადის გავრცელების არეალი ავღანეთსა და ერაყში აღნიშნული კომპლექსური ღონისძიებებით მნიშვნელოვან წილად შეიზღუდა.
ნატოს სახმედრო ბლოკში არსებული ალიანსის წევრი ევროპული სახელწმიფოები და აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები ადგილობრივ ლოკალურ დონეზე ყოველდღიურ რეჟიმში ებრძვიან ტერორიზმს და მის გავრცელებას, ხოლო ნატოს ეგიდით კი როგორც წესი ხორციელედება მასშტაბური, კომპლექსური, კომბინირებული ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციები. 21-ე საუკუნეში ჩვენ ამის ორი მკაფიო ფაქტი ვიხილეთ, ანტი ტერორისტული კამპანიები ავღანეთსა და ერაყში.

## ნატოს ISAF ის მისია ავღანეთში

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქვეყანას ძრითადად ოპიუმის წარმოებითა და ნარკოტიკებით ვაჭრობით, ან შეერთებული შტატებისა და სხვა მოკავშირეებისგან მიღებული დახმარებით გააქვს თავი. ოპიუმის მსოფლიო ექსპორტის 90% ავღანეთზე მოდის. ბოლო ხანებში პენტაგონმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ავღანეთს ტრილიონი დოლარის ღირებულების ბუნებრივი რესურსების მარაგი აქვს. როგორც ამერიკელი მაღალჩინოსნები ამტკიცებენ, აუთვისებელი რკინის, სპილენძის, კობალტის, ოქროსა და ლითიუმის მარაგით, ავღანეთს შეუძლია მსოფლიოს წამყვანი მიმწოდებელი გახდეს. თუმცა, იმის გამო, რომ ბუნებრივი რესურსების მოპოვების გამოცდილება ავღანეთს არ აქვს, მაღაროების გამართვას შეიძლება ბევრი წელი დასჭირდეს.

ალ ქაიდას მიერ აშშ-ში 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტების და თალიბანის მიერ ავღანეთში აღებული სრული ძალაუფლების აღების შემდეგ, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის დასაცავად, კონკრეტულად კი საერთაშორისო ტერორიზმის რელიგიური ექსტრემიზმისა და ისლმაური ჯიჰადისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციითა და ნატოს ეგიდით ავღანეთში დაიწყო ფართომაშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელება.შეიქმნა ISAF ანუ საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალები, სადაც ნატოს ევროპული სარდლობისა და აშშ-ს ევოპული სარდლობის სახმელეთო და საჰაერო ძალებმა, 2001

წლის ნოემბერში, ავღანეთში დაიწყეს ფართომაშტაბიანი ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ.

თალიბები სუნიტი მუსლიმები არიან და ყურანის განსაკუთრებულად მკაცრი ინტერპრეტაციით გამოირჩევიან. 1996 წელს მათ ხელისუფლებაში მოსვლაც მოახერხეს, თუმცა, ლეგიტიმურ მმართველ ძალად მხოლოდ სამმა ქვეყანამ - პაკისტანმა, საუდის არაბეთმა და არაბეთის გაერთიანებულმა ემირატებმა - ცნო. თალიბები კრძალავენ ტელევიზორისა და კომპიუტერის გამოყენებას, ქალებს არ შეუძლიათ ტაშის დაკვრა სპორტულ ღონისძიებებზე, იკრძალება მუსიკა, რომ აღარაფერი ვთქვათ ალკოჰოლზე, მამაკაცებს ევალებათ ატარონ განსაზღვრული სიგრძის წვერი და თავსაბურავი. ქალები თავიდან ფეხებამდე ჩადრში გახვეულნი დადიან. 2001 წლის 12 მარტს, მათ ბამიანში ააფეთქეს ბუდას კოლოსალური ქანდაკებები, იმ მოტივით რომ ისინი ყალბ კერპებს წარმოადგენდნენ.

თალიბებს აფარებდა თავს 11 სექტემბრის შემოქმედი, ოსამა ბინ ლადენი და ალ-ქაიდას წევრთა დიდი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ 11 სექტემბერსვე, ავღანეთში მოკლეს თალიბების პოლიტიკური მოწინააღმდეგე, აჰმად შაჰ მასუდი, იგივე პანშერის ლომი, ტაჯიკური თემის ლიდერი.

2001 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც თალიბებმა უარი თქვეს ამერიკისთვის ბინ ლადენისა და ალ-ქაიდას სხვა წევრების გადაცემაზე, შეერთებულმა შტატებმა ავღანეთზე შეტევა დაიწყო მოკავშირეებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში მე-5 მუხლის ამოქმედების პირველი შემთხვევაა. მე-5 მუხლის მიხედვით, ალიანსი, მის რომელიმე წევრზე თავდასხმას, ალიანსის ყველა წევრზე თავდასხმად განიხილავს.

2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა აშშ-ში განლაგებული სამიზნეების წინააღმდეგ მასობრივი განადგურების იარაღად სამგზავრო თვითმფრინავები გამოიყენეს. მეორე დღეს, 12 სექტემბერს პირველად ალიანსის ისტორიაში, მოკავშირეებმა აამოქმედეს ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (ნატოს კოლექტიური თავდაცვის მუხლი) და ამით დაადასტურეს, რომ ნატოს ერთ-ერთ წევრზე

თავდასხმა წარმოადგენს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე. ალიანსმა მიიღო შესაბამისი ზომები ამერიკის შეერთებული შტატების მხარდასაჭერად. მან ოპერატიულად განათავსა ხომალდები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რათა კოორდინაცია გაეწია და გამოეაშკარავებინა ის გემები, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. ამ რეგიონში ხომალდების განთავსება და მათი პატრულირება ხდება აქტიური ძალისხმევის ოპერაციის (Active Endeavor) სახელით, რომელიც დღეს მთელ ხმელთაშუა ზღვის რეგიონს მოიცავს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიის განმავლობაში ორგანიზაციის მისია ავღანეთში იყო ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, ევროატლანტიკური სივრცის გარეთ.

2001 წლის დეკემბერში, ავღანეთიდან ტერორისტული დაჯგუფება ალქაიდასა და თალიბების დამარცხების შემდეგ, ავღანეთის ოპოზიციის ლიდერებმა ბონში (გერმანია) გამართეს კონფერენცია, რომელზეც განიხილეს ქვეყნის აღდგენისა და სამომავლო განვითარების პროცესი. შეხვედრაზე გადაწყდა ახალი სახელმწიფო სტრუქტურის – ავღანეთის დროებითი ხელისუფლების ჩამოყალიბება და ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (International Security As- sistance Force – ISAF) ფორმირება.

2002 წლის იანვარში ავღანეთის დროებითმა ხელისუფლებამ და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების სარდლობამ ხელი მოაწერეს სამხედრო-ტექნიკურ ხელშეკრულებას (Military Technical Agreement), რომელშიც განისაზღვრა ISAF - ის ამოცანები. თავდაპირველად ISAF-ის მისიას ექვსთვიანი ვადით ცალკეული ქვეყნები ხელმძღვანელობდნენ და ოპერაციებზე პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებოდათ.

2003 წლის აგვისტოდან საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებზე სრული ხელმძღვანელობა ნატოს გადააბარეს. ISAF წარმოადგენდა გაეროს მანდატით მოქმედ საერთაშორისო ძალებს, რომელიც აერთიანებდა სამხედრო მოსამსახურეებს 51 ქვეყნიდან. მისიის მიზანი იყო ავღანეთის მთავრობის დახმარება უსაფრთხო გარემოს

ჩამოყალიბებაში, რაც ქვეყნის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ISAF-ის თავდაპირველი მანდატი ქაბულით (ავღანეთის დედაქალაქი) და მისი შემოგარენით შემოიფარგლებოდა.

ავღანეთის ომის დაწყებიდან დღემდე აშშ-ის, ავღანეთის რეკონსტრუქციის სპეციალური ინსპექტორის მონაცემებით, 714 მილიარდი დოლარი აქვს დახარჯული, რაც თვეში საშუალოდ 4 მილიარდ დოლარს უტოლდება. ამ დანახარჯის ამოსაღებად და ავღანეთის სტაბილიზაციისთვის დონალდ ტრამპი ავღანეთში არსებული სასარგებლო წიაღისეულის ათვისებას გეგმავს.

11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ დაწყებული სამხედრო ინტერვენცია ავღანეთში, ამერიკის ისტორიაში ყველაზე გრძელი ომი იყო. მას 1750 ამერიკელის სიცოცხლე შეეწირა და 300 მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდა. ბარაკ ობამამ 2011 წელს ავღანეთის ომის დასრულების გეგმა წამოაყენა. მისი მიხედვით, ავღანეთის ტერიტორია 100 ათასი ჯარისკაციდან 33 ათასმა მებრძოლმა დატოვვა. პროცესი საბოლოოდ 2014 წელს დასრულდა. უსაფრთხოებაზე კონტროლი ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის ეროვნულ არმიას გადაეცა. ავღანეთიდან აშშ-ს ჯარების გასვლის მიუხედავად, ქვეყანაში 20 ათასამდე ამერიკელი ინსტრუქტორი მაინც დარჩა. ვითარების პოტენციურად არევის პრევენციისათვის.

## ნატოს მისია ერაყში

ნატო, როგორც ორგანიზაცია, არ მონაწილეობდა ერაყში აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებულ მრავალეროვნული კოალიციური ჯარების სამხედრო ოპერაციაში. ალიანსის როლი ერაყში შემოიფარგლებოდა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების გაწვრთნით.

ამით ნატო ხელს უწყობდა ერაყის მთავრობას ეფექტიანი შეიარაღებული ძალების ფორმირებაში და მხარს უჭერდა მათი თავდაცვითი შესაძლებლობის ამაღლებას. 2004 წლის 22 ივნისს ერაყის გარდამავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრმა თხოვნით

მიმართა ნატოს გენერალურ მდივანს, დახმარება აღმოეჩინა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების გაწვრთნასა და სხვა ტექნიკურ საკითხებში.

2004 წლის 28 ივნისს ნატოს სტამბოლის სამიტზე შეხვედრის მონაწილეებმა გადაწყვეტილება მიიღეს, ერაყის მთავრობას სამხედრო პერსონალის გაწვრთნაში დახმარებოდნენ. იმავე წლის 30 ივლისს ჩამოყალიბდა ნატოს წვრთნების საიმპლემენტაციო მისია (Training Implementation Mission) ერაყში. 2004 წლის 7 აგვისტოდან ნატოს მისია ახორციელებდა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. თავდაპირველად, წვრთნების საიმპლემენტაციო მისია 50 ოფიცერს აერთიანებდა.

ერაყის ომმა 4,500 ამერიკელი ჯარისკაცი იმსხვერპლა და 1 ტრილიონ დოლარად შეფასდა. აშშ-ის შეჭრამ ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ლანდშაფტი შეცვალა. 2008 წლის შეთანხმებით პრეზიდენტ ბუშსა და ერაყის პრემიერ-მინისტრ ნური ალ-მალიქის შორის, აშშ ვალდებულებას იღებდა, 2011 წლის 31 დეკემბრამდე გაეყვანა ძალები. 2012 წელს საკუთარი პირველი ვადის დასასრულს პრეზიდენტმა ობამამ 2012 წლის ბოლომდე სრული სამხედრო ძალების (39 ათასი ჯარისკაცი) ერაყიდან გაწვევა ბრძანა. და ერაყის ომი ოფიციალურად დასრულებულად გამოაცხადა.

ამერიკის ჯარების ერაყში შესვლის შემდგომი ღირშესანიშნავი თარიღები:

2003 წლის 20 მარტი -ამერიკის ჯარები ერაყში კუვეიტიდან შეიჭრნენ.

2003 წლის 9 აპრილი - ამერიკულმა ჯარმა ბაღდადი აიღო და სადამ ჰუსეინის ქანდაკება ჩამოაგდო.

2003 წლის 1 მაისი - ჯორჯ ბუშის განცხადებით, ერაყში საომარი ოპერაციები დასრულებულია.

2003 წლის დეკემბერი - სადამ ჰუსეინს მშობლიურ ქალაქ ტიკრიტთან ახლოს იპყრობენ.

2006 წლის 22 თებერვალი - სამარაში შიიტურ სამლოცველოს ბომბავენ და ამით რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება იწყება.

2006 წლის 19 დეკემბერი - პრეზიდენტი ბუში აღიარებს, რომ ამერიკა ომს აგებს.

2006 წლის 30 დეკემბერი - სადამ ჰუსეინს სიკვდილით სჯიან.

2007 წლის 10 იანვარი - პრეზიდენტი ბუში ერაყში 21.000 - მდე დამატებითი სამხედროს შესვლის შესახებ აცხადებს.

2007 წლის მანძილზე ერაყში 900მდე ამერიკელი სამხედრო იღუპება.

2008 წლის 1 ნოემბერი - ამერიკა და ერაყი ერაყიდან ჯარების გამოყვანის თარიღს, 2011 წელს ასახელებენ.

2009 წლის 27 თებერვალი - ბაკარ ობამა ჯარების გამოყვანაზე, მაგრამ 50.000 სამხედროს 2011 წლამდე დატოვებაზე საუბრობს.

2010 წლის 24 აგვისტო - ერაყში, დაგეგმილამდე ერთი კვირით ადრე საომარი ოპერაციები სრულდება. ქვეყანაში 50.000 სამხედრო ერაყული ჯარის გასაწვრთნელად რჩება.

ომი ერაყში 7 წელიწადსა და 8 თვეს გრძელდებოდა. იგი 2003 წლის 20 მარტს ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას დაიწყო. ერაყში ამერიკელთა შეჭრის მთავარი მიზეზი გახდა ცნობები იმის შესახებ, რომ ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა. თუმცა, ომის შემდეგ ეს ცნობები არ დადასტურდა. ომს

4400 ამერიკელი და 500 ათასზე მეტი ერაყელი შეეწირა და იგი რამდენიმე მილიარდი დოლარი დაჯდა. ბოლო წლების განმავლობაში ერაყი აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი თავსატეხი იყო. ამერიკელი სამხედროების რიცხვმა პიკს იქ 2007 წელს მიაღწია, როდესაც ერაყში დაახლოებით 170 000 ჯარისკაცი იყო.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყში სამხედრო მოქმედებები ოფიციალურად 2011 წლის დეკემბერში დაამთავრა და ბოლო სამხედრო ბაზა გადასცა ადგილობრივ ხელისუფლებას. დამთავრდა თითქმის 9-წლიანი ომი, რომელიც 2003 წლის 30 მარტს დაიწყო იმ მოტივით, რომ სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა.

## 2.3 ნატოს როლი კიბერ ტერორიზმთან ბრძოლაში

კიბერ ტერორიზმი წარმოადგენს ტერორიზმის ერთ ერთ სახეს, რომელსაც თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმში განსაკუთრებული როლი უკავია, რამეთუ გლობალიზაციისა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების პირობებში ინტერნეტ სივრცეს მის ათვისებასა და მართვას, ტერორისტებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

რადგან მსოფლიოში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდეონბა მსოფლიო მოსახელოეობის დაახლოებით 60%-ია,( 4 მილიარდი ადამიანი)

ინტერნეტ სივრცის თვალსაზრისით ტერორისტული ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების სეგმენტი, რამეთუ ე.წ „რეკრუტირება“ ანუ გადაბირების პროცესი საკმაოდ ადვილია მსგავს შემთხვევაში.

სოციალური ქსელები აგრეთვე პროდუქტიულია ტერორისტული ორგანიზაციების პიარისა და პროპაგანდისათვის.

კიბერტერორიზმი კიბერუსაფრთხოებისათვის ერთ ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ჰაკერულ შეტევებთან და სხვა სახის ინტერნეტ დანაშაულებთან ერთად.

არსებობს ბუდაპეშტის 2002 წლის კონვენცია, სადაც მიღებულ იქნა კიბერ დანაშაულთან ბრძოლის შესაბამისი საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა, აღნიშნულ კონვენციაში მკაფიოდ არის გაწერილი, კიბერ ტერორიზმის მიმართულებით ბრძოლის მექანიზმები, რომელიც საერთაშორისო სახელწმიფოთაშორისი ერთობლივი ვალდებულებაა.
ნატო როგორც ევროპის სამხედრო პოლიტიკური ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, კიბერ ტერორიზმის მიმართულებითაც ანხორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რომელი ღონისძიებებიც ე.წ ბუდაპეშტის შეთანხმებით და კიბერუსაფრთხოების კონვენციით არსებობს.

ციფრული კომუნიკაციები, ეს არის 21-ე საუკუნის კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული სახე, რომელიც აადვილებს მთელ რიგ ოპერაციებს (საფინანსო, საგადასახადო, საკომუნიკაცია, საინფორმაციო და ა.შ.) და საშუალაბს აძლევს მომხმარებლებს უსწრაფესად განახორციელონ ის ქმედებები, რასაც ინტერნეტის გარეშე დღეები და თვეებიც კი დასჭირდებოდა. ამიტომ არაა გასაკვირი საზოგადოების ინტერნეტზე დამოკიდებულების მაღალი დონე, რომელიც ზოგს საგანგაშოდ მიაჩნია.
სწორედ ინტერნეტზე და საერთოდ ელექტრონულ ქსელებზე ასეთმა დამოკიდებულებამ მისცა საფუძველი ტერორისტებსა და დამნაშავეებს, განევითარებინათ ტერორიზმის თანამედროვე კიდევ ერთი ფორმა კიბერ ტერორიზმის სახით. ეს უკანასკნელი კი, მსოფლიოს სერიოზული თავის ტკივილია და ისეთი ძლიერი სახელმწიფოს სერიოზულ პრობლემასაც წარმოადგენს როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები.
ამაზე აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც განაცხადა, რომ კიბერ ტერორიზმი, ეს არის ქვეყნის ყველაზე დიდი საფრთხე.
კიბერ ტერორიზმი არის კომპიუტერზე, ქსელზე და მათში არსებულ ინფორმაციაზე შეტევის ან შეტევის განხორციელების მუქარა, სახელმწიფოს ან მისი ხალხის პოლიტიკურად, სოციალურად, რელიგიურად ან იდეოლოგიურად დაშინების მიზნით. თუმცა ეს განმარტებაც არაა ზუსტი, რადგან კიბერ ტერორიზმი ასევე მოიცავს

სახელმწიფო ფინანსებზე ან ეროვნულ კომპანიებზე თავდასხმას და მათი მონაცემების გამოყენებას სხვადასხა ფულადი თუ სხვა სახის მაქინაციებისთვის, რომელიც მიმართულია ქეყნის წინააღმდეგ.

კიბერტერორისტად შეგვიძლია მივიჩნიოთ პირი/ჯგუფი, რომელიც ზემოთ დასახელებულ ქმედებებს განახორციელებს, ან კიბერ ტერორიზმის ფაქტად შევრაცხოთ ქმედება, რომელსაც განახორციელებს ტერორისტული დაჯგუფება საკუთარი ინტერესებისათვის, რომელიც იმავდროულად ან მომავალში სახელმწიფოებისა და მმართველოლბების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

კიბერტერორისტები იჭრებიან სახელმწიფო სტუქტურების კომპიუტერულ ქსელებში და იპარავენ სახელმწიფო დონის უსაფრთხოების ინფორმაციებს. ასევე ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, რათა სახოგადოებაში დათესონ პანიკა და წარმოშვან დესტაბილიზაცია. შესაძლოა გაუკეთონ პროვოცირება სხვადასხვა ანტისამთავრობო მოძრაობებს და სხვა. კიბერტერორისტების მიზანს, არა მხოლოდ სახელმწიფო სტურქტურები და ეროვნული თუ ტრანსნაციონალური კომპანიები წარმოადგენს, არამედ უბრალო მოსახლეობაც. ისინი იყენებ ფიზიკური პირის მონაცემბს სხვადასხვა მაქინაციების ჩასატარებლად და კვალის დასაფარავად.

კიბერტერორისტებმა შესაძლოა საზოგადოებას მიაყენონ სერიოზული ფსიქოლოგიური ზიანი, ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა აკრძალული მასალის გავრცლებით, ან ტყუილი ე.წ „ფეიქი“ მასალის შემქნითა და მიწოდებით.

კიბერტერორიზსტული ქმედებები ხშირად იჩენს თავს ომისა და კონფლიქტების დროს. შესაძლოა კიბერ თავდასხმა ერთმა ქვეყანამ განახორციელოს მეორეზე. მაგალითად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსეთი თავს დაესხა ქართულ საიტებს, შექმნა ინფორმაციული ვაკუუმი, რაც კიბერ ტერორიზმის ერთ-ერთი საშუელებაა საზოგადოებაში პანიკის გამოსაწვევად.

მსოფლიოს ქვეყნები ერთიანდებიან, რათა უფრო აქტიურად ებრძოლონ მსოფლიოში გავრცელებულ ტერორიზმს. ამ მხრივ არც კიბერ ტერორიზმი სფეროა განსხვავებული და მრავალი ქვეყანა აქტიურადაა ჩართული კიბერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2001 წლის 23 ნოემბერს, ბუდაპეშტში მიიღეს კონვენცია, კომპიუტერული დანაშაულის

შესახებ, კონვენცია წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, „მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს მთლიან კომპიუტერულ სისტემაზე ან მის ნაწილზე უნებართვო შეღწევის კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარ განზრახვითაა ჩადენილი“

ასევე ევროკავშირში შექმნილია ორგანო სახელწოდებით „საერთაშრისო მრავალმხრივი პარტნიორობა კიბერ საფრთხეების წინააღმდეგ“ (International Multilateral Partnership Against Cyber Threats), რომელიც შეიქმნა 2011 წელს და აერთიანებს ევროკავშირის წევ ქვეყნებს.

კიბერ ტერორიზმის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს :

1.სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან საკუთარი თავის პიარი აგიტაცია, პროპაგანდა.

2.ე.წ მოწყვლადი ჯგუფების ან კონკრეტული ინდივიდების სოციალური ქსელების მეშვეობით ე.წ „რეკუტირება“ გადაბირება, რომელიც ხორციელდება .ე.წ ყალბი გვერდებით.

3.სამიზნე სახელმწიფოების სპეც სამსახურების ვებ პორტალებზე ე.წ შეღწევადობა, ჰაკერული თავდასხმის ორგანიზება, განსაკუთრებით იმ ქვეყნების სპეც სამსახურების მიმართ, რომელთა ელექტრონულ სივრცეს არ გააჩნია მაღალი სიხშირის შიფრი და უსაფრთხოების მაღალი სისტემები.

4.ე.წ „დეზას“ ანუ დეზინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელების მეშვეობით, მაგალითად ხელოვნური დივერსია, ინფრომაციის გავრცელება ამა თუ იმ საზოგადოებრივ თავი შეყრის ადგილზე ტერაქტის შესახებ, რაც მოსახლოებაში შიშს პანიკას და ქაოსს იწვევს, რომელიც თავის მხრივ არსებულ სახელმწიფო ხელისუფლებას აზიანებს.

კიბერ ტერორიზმი ყველაზე გავრცელებულა რელიგიურ ტერორიზმში. ისლამური ჯიჰადისტური ტერორისტული ორგნიზაციები ყველაზე აქტიურად იყენებენ კიბერ ტერორიზმს საკუთარი მიზნებისათვის, განსაკუთრებით ე.წ „რეკრუტირებისათვის“ ამ მხრივ ყველაზე აქტიური ბოლო წლებში ისლამური სახელმწიფო იყო.

2012-2017 წლებში სირიაში მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებიდან ათასობით „რეკრუტის“ შედინება მოხდა, სწორედ კიბერ ტერორიზმის სოციალური ქსელების მეშვეობით. ისლმაური დაეშის შესაბამისი დანაყოფები, რომლებიც იყენებდნენ ყალბ ფეისბუქ პროფილებს აქტიურად ახდენდნენ ე.წ „სამიზნე პირებთან“ კონტაქტში შესვლას და შემდგომ უკვე მათ გადაბირებას.

ნატოს ჩართულობა კიბერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი ფაქტორის მატარებელია, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ყველა სახელმწიფო ბუდაპეშტის კონვენციით იღებს ვალდებულებას, რომ ერთმანეთში მოახდინონ ინფორმაციის გაცვლა და ერთობლივი კოოპერირება მოახდინოს, როგორც კიბერ დანაშაულის მიმართულებით, აგრეთვე მისი მთავარი შემადგენელი მიმათულების კიბერ ტერორიზმის კუთხით.

ამ მიმართულებით ვფიქრობ, რომ ალიანსმა უფრო მეტი აქტიური ღონისძიებები უნდ მიიღოს, რადგან ბოლო დროს აშკარად გამოკვეთილია ტენდენციები რომ კიბერ ტერორიზმი სულ უფრო აქტუალური ხდება, განსაკუთრებით ისლამური ტერორისტული ორგანიზაციებისათვის. ამ კუთხით ურიგო არ იქნება თუ ალიანსის წესდებაში შევა დამატებითი ჩანაწერი, კიბერ ტერორიზმტან ბრძოლის მიმართულებით.

## პოტენციური მოსალოდნელი შედგი :

1.ტერორისტულ ორგანიზაციებს შეეზღუდებათ კომუნიკაციის საშუალება.

2.მათ მიერ სამიზნე პირების გადაბირება სოციალური ქსელების მეშვეობით შემცირდება რაც თვის მხივ გამოიწვევს ადამიანური რესურსის დეფიციტს, ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებში.

3.დესტაბილიზაციის არეულობის პანიკის და ქაოსის ხელოვნური ორგანიზებისათვის მაქსიმალური ხელის შეშლა.

4.საერთაშორისო ტერორიზმის, როგორც კომპლექსური განვრცობადი პრობლემის შემცირება.

5.კიბერ უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაბამისად საერთაშორისო უსაფრთხოების მეტად დაცულობა.

ნატოს კბერუსაფრთხობის სისტემა წლებია რაც ეფექტურად ფუნქციონირებს თუმცა ვფიქრობ, რომ გამომდინარე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან სოციალური ქსელების და ზოგადად ინტერნეტ ტექნოლოგიების რესურსების მაქსიმალურად გააქტიურებიდან გამომდინარე, კიბერ ტერორიზმის მიმართულებით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უფრო აქტიური ღონისძიებების გატარება მართებს, როგორც საკანომდებლო ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.შედეგად შესაძლებელი იქნება თავიდან აცილება ასიმეტრიული ტერორისტული აქტების საფრთხეების. გარდა ამისა ტერორისტული ორგანიზაციების რიგების ზრდის, მათი გამხსხვილების თავიდან აცილებაც.

## 2.4 ნატო - ტერორიზმთან ბრძოლის პერსპექტივები

გლობალიზაციასთან ერთად საერთაშორისო უსაფრთხოება საკმაოდ კომპლექსური
გახდა, რამაც დაგვანახა, რომ მხოლოდ ტრადიციული გზებით ეროვნული საზღვრების დაცვა ვეღარ უმკლავდება მოსალოდნელ საფრთხეს. ტერორიზმი გვევლინება როგორც ნატოსა და მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია ნატოს როგორც ჩრდილოატლანტიკური სამხედრო პოლიტიკური ალიანსის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი რაოდენობა. მათი ჩართულობა კი მიმართულია საერთო თანამშრომლობით საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერებისაკენ.

სამომავლოდ ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით გრძელვადიან პერსპექტივაში ვფიქროვბ, რომ ნატოს როგორც ევროპის წამყვანი სამხედრო პოლიტიკური ბლოკის ჩართულობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება ტერორიზმთან ბრძოლაში. საერთაშორისო ტერორიზმის გავრცელების არეალი დღითიდღე ფართოვდება და პარალელურად იხვეწება ტერორისტული ჯგუფების მიერ მოქმედებათა სტრატეგია,

ხდება უფრო თანამედროვე, ადაპტირდება მოდერნისტულ გლობალურ სამყაროსთან განსაკუთრებით ეს ტენდენცია აღსანიშნავია კიბერ ტერორიზმის ჭრილში.

რელიგრური ექსტრემიზმი ისლამური ჯიჰადისტური ორგანიზაციები ყოველდღიეურად ხვეყწავენ თავიანთ მოქმედებათა ტაქტიკას. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდგომ ვგულისხმობ ავღანეთისა და ერაყის სამხედრო კამპანიებს, აგრეთვე ბოლოს დროს სირიაში განვითარებულ მოვლენებს, სადაც საერთაშორისო კოალიციიური ანტიტერორისტული მისია წარმატებული გამოდგა, ნატოს მაქსიმალური ჩართულობით გამოიწვია ის, რომ რეალურად ისლამისტური ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაციები მძიმე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ და მაქსიმალურად შეეზღუდათ მოქმედების არეალი და რესურსები.

თალიბანი განსაკუთებით ავღანეთის ოპერაციის შემდგომ, ალ ქაიდა ავღანეთ ერაყის ოპერაციების, აგრეთვე ბინ ლადენის ლიკვიდაციის სპეც ოპერაციის შემდგომ, ხოლო ბოლო დროს აღზევებული ისლამური სახელმწიფო კი სირიაში წარმატებით განხორციელებული ანტიტერორისტული მისიის შემდგომ. ეს სამი წამყვანი და ყველაზე ძლიერი ორგანიზაციები დღეს საკმაოდ შესუსტებულ მდგომარეობაში არიან, თუმცა ობიექტური რეალობიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ტრანსნაციონალურ ტერორიზმთან და ისლამური ჯიჰადისტურ ორგანიზაციებთან ბრძოლა დასრულებეული არ არის.

გამომდინარე საკმარისი ფინანსური რესურსების ქონიდან და საბაზისო საკადრო პოტენციალიდან, საფრთხეები იმისა, რომ კვლავ მოხდეს კონსოლიდაცია და შეკავშირება ექსტრემისტულ ჯგუფებს შორის საკმაოდ მაღალია.

ამ კუთხით ნატოს როგორც წამყვანი სამხედრო ძალის მნიშნვვნელობა საკმაოდ მაღალია. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში ტერორიზმთან ბრძოლას აუცილებლად უნდა ქონდეს გამორჩეული ადგილი. საჭირო არის მუდმივი ე.წ მონიტორინგი და კონტროლი ნატოს წევრი სახელწმიფოების სპეც სამსახურების კონტრტერორისტული სამსახურების, ხოლო საკუთრივ კი ნატოს სახმედრო პოლიტიკური დანაყოფების მიერ, კონკრეტულად სამოქალაქო დანაყოფების მხრიდან. საჭიროა მუდმივი პრევენტული და წინმსწრები ანტიტერორისტული

ღონისძიებების გატარება, პარალელურად კი იდეოლოგიურ, მენტალური ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ.

არსებული მდგომარეობა საკმაოდ ხელსაყრელია ნატოსთვის, რადგან ჩრდილოატლანტიკურალიანსს ძალუძსს კიმპლექსური და კოალიციური ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ.

ტერორიზმთან ბრძოლი კუთხით გრძელვადიან პერსპექტივაში ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც თუ რა ვითარება იქნება მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუქაზე,აშკარაა ნიშნები მულტიპოლარული სისტემიდან უკვე კვანტრიპოლარულ წყობილებაზე გადასვლისაკენ, შესაბამისად მასშტაბური საერთაშორისო აქტორების ინტერესები გაიზრდება. უმნიშვნელოვნესია ის, რომ ნატომ როგორც ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა სამომამვლოდ გაფართოება განაგრძოს და მისი საზღვრები უფრო მეტ ტერიტორიას მოიცავდეს, ბოლო წლებში ნატოს საზღვერები აღარ ფართოვდება.

პარალელურად დასვლური სახელწმიფოების ზოგიერთ ლიდერთა მხრიდან ისმის ღია კრიტიკული  განცხადებები ნატოს მისამართით, რაც კონტრპროდუქტიულია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით. რამეთუ საერთაშორისო უსაფრთხობის უზრუნველსყოფად, საერთაშორისო ტერორიზმთან ბროლას ერთიანი სტრატეგია ესჭიროება, მასშტაბური სახელმწიფოების მხრიდან, პარალელურად საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობა დამატებით ეფექტს მისცემს პროცესს.

ეს ყველაფერი კი ნატოს ეგიდით უნდა განხორციელდეს, ხოლო ალიანსის დასუსტებითკი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა საგრძნობლად გართულდება, მთავარი რაც უნდა განხორციელდეს სამომავლოდ ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით არის ფინანსური რესურსების და გადაადგილების შეზღუდვა. (საზღვრების მაქსიმალური კონტროლით) აგრეთვე ადამიანური რესურსების შემცირების და იდეოლოგიურ მენტალური ბრძოლის კომპონენტის გამოყენებით, განსაკუთრებული ყურადღება ალიანსის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და ალიანსში შემავალი სახელწმიფოების მხრიდან უნდა გამახვილდეს ე.წ სასაზღვრო პოლიტიკის გამკაცრებაზე.

აგრეთვე მოკავშირე ქვეყნების სპეც სამსახურების მხრიდან ოპერატიულ სადაზვერვო ინფორმაციის მაქსიმალურად სწრაფი და ეფექტური გაცვლა და პრევენტული წინმსწრები ღონისძიებების გატარება, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტერორიზმის მაქსიმალურ შესუსტებას.

ბოლო წლებში გატარებულმა ანტიტერორისტულმა ღონისძიებებმა განსაკუთრებით ავღანეთში ერაყში და სირიაში იქ არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებს ოპერირების არეალი მაქსიმალურად შეუზღუდა, შესაბამისად ტრანსნაციონალური და საერთაშორისო ტერორიზმი როგოც სისტემური პრობლემა შედარებით შესუსტებულია, თუმცა არსებული რესურსები იძლევა იმის საშულებას, რომ კვლავ მოხდეს კონსოლიდაცია და შეკავშირება ტრანსნაციონალურ ორგანიზაციებს შორის, რაც საერთაშორისო ტერორიზმს კვლავ გააქტიურებს, სწორედ აქ არის ნატოს როლი განუზომლად მაღალი და განსაკუთრებული.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ტერორიზმი წარმოადგენს, კომპლექსურ მიზეზშედეგობრივ, მრავალი წინაპირობის მქონე პრობლემას, რომელიც კაცობრიობას დღემდე აწუხებს. ხოლოკონკრეტულად კი საერთაშორისო ტერორიზმი მსოფლიოს საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ნატო კი როგორც კოლექტიური უსაფრთხოების, სამხედრო პოლიტიკური ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. ალიანსის ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გასულ წლებში წარმატებული და ეფექტური იყო, ხოლო მისი როლი კი განუზომლად დიდი. აქვე აღსანიშნავია, რომ სამომავლო პერსპექტივაში მხოლოდ ნატოს შესწევს ძალა და რესურსები იმისათვის, რომ ებრძოლოს საერთაშორისო ტერორიზმს, რომელიც თავის მხრივ მომავალშიც ამა თუ იმ ფორმით საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა იქნება.სამაგისტრო ნაშრომში წარმოჩენილი კვლევების და მაგალითების საფუძველზე მიღებულია შემდეგი ძირითადი შედეგები.

### საკვლევი კითხვების პასუხები

1.საერთაშორისო ტერორიზმი მსოფლიოსათვის განუზომელი საფრთხისშემცველია, საერთაშორისო ტერორიზმი საერთაშორისო უსაფრთხოებისათვისმთავარ საფრთხესწარმოადგენს. განსაკუთრებით რელიგიური ტერორიზმის, ტრანსნაციონალურიორგანიზაციების და კიბერ ტერორიზმის სახით.საერთაშორისო ჩართულობის გარეშესაერთაშორისო ტერორიზმისდამარცხება შეუძლებელია

2.ნატოს ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური იყო. ალიანსის მიერ წარმოებულმა ანტიტერორისტულმა ოპერაციებმა ახლო აღმოსავლეთში საგრძნობლად შეასუსტა ისლამური ჯიჰადი, ხოლო ტრანსნაციონალური ორგანიზაციების ოპერირების არეალი მკვეთრად შეზღუდა.

სამომავლოდ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისმიმართულებით, ნატოს უფრო ეფექტური და მასშტაბური ღონისძიებებისგატარება დასჭირდება.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგიური ჩარჩო: ბარი ბუზანის წიგნი „ადამიანები სახელმწიფო და შიში“ ნაშრომს მნიშვნელოვნად დაეხმარა საერთაშორისო უსაფრთხოების დღევანდელი გამოწვევების მიმართულებით საერთაშორისო ტერორიზმთან მიმართებაში, ბრიუს ჰოფმანის წიგნი „ახალი ტერორიზმი“ ნაშრომს დაეხმარა საერთაშორისო ტერორიზმისა და ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკის თავებთან მიმართებაში, ხოლო რიჩარდ კოენის მოდელი ნაშრომს დაეხმარა უსაფრთხოების მიმართულებით ნატოს სტრატეგიის ჩამოყალიბებაში. ასევე ე.წ „სოციალური კონსტრუქტივიზმის“ თეორია და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორიის“ მოდელის მაგალითები განსაკუთრებით ნაშრომის II თავში „ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკა“

აღნიშნული კვლევის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ საერთაშორისო ტერორიზმი დღევანდელი საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. საერთაშორისო ჩართულობის გარეშე მის წინააღმდეგ ბრძოლას არაქვს შედეგი. ერთობლივი საერთაშორისო კომპლექსური, ანტიტერორისტულიღონისძიებების გატარება, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. ხოლო აღნიშნული ღონისძიებები მხოლოდნატოს, როგორც ევროპის სამხედრო პოლიტიკური ალიანსის ეგიდით იქნებაეფექტური და შედეგიანი.

რეკომენდაციები :

1.საერთაშორისო ტერორიზმი გამომდინარე განგრძობადობიდან როგორც დღეს ასევე მომავალშიც იქნება საერთაშრისო უსაფრთხოებისათვის მთავარი თუ არა ერთ ერთი მთავარი გამოწვევა

2.ნაშრომში გაანალიზებულია ტერორიზმის როგორც კომპლექსური პრობლემის წარმოშობის მიზეზები მისი გავრცელება და დღემდე საერთაშორისო ტერორიზმად ტრანსფორმირება

3.ნაშრომში ნაჩვენებია საერთაშორისო ტერორიზმის და ტრანსნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბების წინაპირობები მათი მოქმედებათა ტაქტიკა და სამომავლო პოტენციური მოქმედებების პროგნოზები

4.ნაშრომში გაანალიზებულია ნატოს ეგიდით განხორციელებული ანტიტერორისტული ოეპრაციები და სამომავლოდ ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ასპექტში

## გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა


1.„ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში“- მაისაია.ვ , თბილისი 2009წ

2.საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ – გახოკიძე.ჯ ,თბილისი 2014 წ

3.ქელდიშვილი.გ. „ტერორიზმი და ტერორისტული აქტები“. - თბ., 2015.

4.ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი / ჩიტაძე.ნ, თბილისი - 2014 წ

5.Malcolm.N, Defeating ISIS: Who They Are, How They Fight, What They Believe,2016

6.Malcolm.N, Terrorist Recognition Handbook: A Practitioner's Manual for 2013

7.Friedman.G America's Secret War: Inside the Hidden Worldwide Struggle Between the United States and Its Enemies (reprint ed.). 2005

8.Mura.A. The Symbolic Scenarios of Islamism: A Study in Islamic Political Thought. London. 2015

9.Malcolm.N, The Terrorists of Iraq: Inside the Strategy and Tactics of the Iraq Insurgency 2014

10.Williams.P. Al Qaeda: Brotherhood of Terror (1st ed.). Alpha. ISBN 0-02-864352-6. 2010

11.Burleigh.M. Blood and rage : a cultural history of terrorism. Harper, 2009.

12.Joshua.I, "Book Review: 'Counterterrorism Bookshelf' 2014

13.Mahmood.M. Good Muslim, Bad Muslim: America, the Cold War, and the Roots of Terror. Pantheon. 2004

14.Peters.G. Seeds of Terror: How Heroin is Bankrolling the Taliban and Al Qaeda 2009

15. Malcolm.N, *Hacking ISIS: How to Destroy the Cyber Jihad*, Skyhorse Publishing, ISBN 978-1510718920 2017

16. *Malcolm.N (2010), An End to al-Qaeda: Destroying Bin Laden's Jihad and Restoring America's Honor, St. Martin's Press, ISBN 978-0312592493*